

**თამაზ გოლერძიშვილი**

# **თარგმანები**



გამომცემლობა „კენტავრი“  
თბილისი  
2020

ალბერტ გარნეა

სასიყვარულო ბარათები  
პიესა ორ მოქმედებად

მოქმედი პირი:

ენდი

მელისა

## პირველი მოძალუბა

**ენდი** — მისის და მისტერ გარდნერებს: ბელნიერი ვარ, რომ დამპატიუეთ თქვენი ქალიშვილის, მელისას დაბადების დღეზე 1936 წლის 19 აპრილს, დღის 4 საათზე. პატივისცემით ენდრიუ მიკეს ლედ III.

**მელისა** — ძვირფასო ენდი — საჩუქრისათვის გმადლობთ. ახლა მათ „ზურბუხტ ქალაქის უბედური პრინცესაც“ დაემატა. რატომ მაჩუქეთ მაინცდამანც ეს წიგნი? გულწრფელად, თქვენი მელისა.

**ენდი** — გპასუხობთ შეკითხვაზე. როცა თქვენმა საზიზღარმა და მახინჯმა აღმზრდელმა ქალმა ჩვენი სკოლის მეორე კლასის კარი შემოაღო და შემოგიყვანათ, მაშინ სწორედ უბედურ პრინცესას ჰგავდით.

**მელისა** — ვერ დაგივერებთ, სიმართლის თქმა სჯობს: დედახემმა ურჩია დედათქვენს, ესა და ეს წიგნი აჩუქოსო. სიტყვებზე მეტად ნახატები მომწონს და მოდით, შევწყვიტოთ მიმოწერა.

**ენდი** — ვფიცავ, ამიერიდან უ-ს ისე დავწერ, უ არ გეგონოს.

**მელისა** — მეც გეფიცები, ამიერიდან ი ოს აღარ ჰგავდეს.

**ენდი** — ვფიცავ, ამიერიდან ყოველი ასო თავის თავს ემგვანება. შე? შენ რაღას შემომფიცავ?

**მელისა** — რა სასაცილო ხარ!

\* \* \*

**ენდი** — გინდა ჩემი შეყვარებული გახდე?

**მელისა** — აჲა! ესე იგი, წმინდა ვალენტინის დღეს შენ მომწერე: „გინდა ჩემი შეყვარებული გახდეო“.

**ენდი** — დაახ.

**მელისა** — თანახმა ვარ. შევიქნები შენი შეყვარებული! ოღონდ... ჩურგენ! დაგასწარი: კოცა-მოცა არ იყოს.

**ენდი** — როცა დაობება, შეიძლება თქვენს აუზში ვიცურაო?

**მელისა** — არა! მის ჰოგორნი, ჩემი აღმზრდელი მიკრძალავს: რამე ინფექცია არ შემოგვიტანოს.

**ენდი** — გინდა, დიდ შესვენებაზე რძესა და ნამცხვარს ამოგიტან?

**მელისა** — მინდა, ოღონდ, მეტს ნუდარ მომთხოვ, ცოლად გამომყევიო.

**ერთად** — გეფიცები, საკლასო ოთახში წერილს აღარ მოგწერ.

\* \* \*

**ენდი** — ქრისტეშობასა და ახალ წელს გილოცავ, სიყვარულით, ენდი.

**მელისა** — ეს მოსალოცი ბარათია. მე დავხატე. თოვლის პაპა არ გეგონოს. კეგურუა. ფორთოხლის წვენით სავსე ჭიქაზე ხტება. ხო მაგარია? მომწონხარ. მელისა.

**ენდი** — ეს წერილი დედამ დამაწერინა. დიდ ბოდიშს გიხდი. მის პოგორნსაც კუხდი ბოდიშს, გადაეცი.

**მელისა** — ამ ნახატზე მე და შენა გართ საცურაო კოსტიუმების გარეშე. აბა, გამოიცანი, რომელი ხარ? არავის უჩვენო. მიყვარხარ.

**ენდი** — ეს მის პოგორნია. არც ამას აცვია საცურაო კოსტიუმი.

**მელისა** — მაგრა ხატავ!

\* \* \*

**ენდი** — მივიღე კაპტუსი და ჩოჩორი. გმადლობ. საავადმყოფოში იმდენი საჩუქარი მომდის, სამადლობელო ბარათების წერით ვიღლები. აქაურობა არ მომწონს, რაც გლანდები ამოვაჭერი, ყელი სულ მტკივა. სამაგიეროდ, ბევრ ნაყინს მაჭმევენ. გინდა გაგაცინო? — აქ სიცხეს პირიდან კი არა, სულ სხვა მხრიდან მიზომავენ.

\* \* \*

**მელისა** — შობასა და ახალ წელს გილოცავ. სხვა სკოლაში რატომ გადახვედი?

**ენდი** — ქრისტეშობას გილოცავ. ჩემებს მიაჩნიათ, რომ აუცილებლად ვაჟთა სკოლაში უნდა ვსწავლობდე.

\* \* \*

**მელისა** — დამაფიცე, რომ წერილი გამომეგზავნა. აპა, მიიღე.

**ენდი** — ღია ბარათზე მეორე მხარეს უნდა სწერო. მოსაწერი თუ არაფერი გაქვს, მაშინ ჩემს კითხვებს უპასუხე:

1. მოგწონს თუ არა მიჩიგანის ტბა?
2. მოგწონს თუ არა ბებიასთან ცხოვრება?
3. შენი მშობლები მართლა ეყრებან?
4. გიშვებენ ზღვაში ღრმად შესვლას? თუ მის პოგორნი ნაპირზე გაჭყუმპალავებს?

5. ჩვენი ტოლები თუ არიან მანდ, ესე იგი ბიჭები?  
**მელისა** — არა, არა, ჰო, არა.

\* \* \*

**ენდი** — ძვირფასო მელისა, ნეტა თუ გახსოვარ? ეს მე ვარ, ენდი — ვაჟთა საზაფხულო ბანაკში გამაგზავნეს. მკვდარი საათია და წერილს გწერ. იცი, ბანაკში ნამდვილი ინდიელი გვყავს, რკინის ყვავი ჰქვია. ყოველ დღე ტყეში გვასეირნებს და ექვს ახალ მცენარეს გაცნობს. ოღონდ, რაც მთავარია, გამორჩა: შხამინი სუროს ჩვენება დაავიწყდა. ზურგზე ცურვაში გავიმარჯვე და ორქულანახვარი მოვიგე. მშობლის დღისთვის ორმოცდათ ქულას თუ დავაგროვებ, საბაზიო დიპლომით დამაჯილდოვებენ. მამაჩემსაც ეს უნდა, რას გაიხარებს! შრომის გაკეთილზე ხელსაწმენდის გასაყრელ რგოლს გავაკეთებ, ოღონდ ჯერ არ ვიცი, დედას გავუგზავნი თუ შენთვის დავიტოვებ. ყოველ დილის საუზმეზე ფოსტას გვირიგებენ. გოგოსგან წერილს თუ მივიღებ, ყველას შეშურდება. იმედია, მომწერ.

**მელისა** — არ შემიძლია წერილების წერა და რა ვქნა?! ორი საათი „ძვირფასო ენდის“ მოვუნდი. მამაჩემს იმიტომ ვწერ, რომ ძალიან მომენატრა. ბიჭებს კი... ვერ მივართვი! არ გამოვა! ამიტომ. ბარათის მაგივრად გიგზავნი ჩემი კატის პორტრეტს. როგორია? ხედავ, რა სიფათი აქვს? სამჯერ გადავხატე, მაგრამ მაინც ვერ მივამსგავსე. ცხოვრებაში უფრო ლამაზია. კუდის გარშემო შარავანდედი ადგას. კუდისთვის ვგიუდები. კინაღამ დამავიწყდა! ცუდი ამბავი მოხდა: დედაჩემი ვინმე ჰუპერტ მაკვეზე გათხოვდა! მიშველეთ! დამისენით! აქ ცხოვრება აღარ შემიძლია!

**ენდი** — კატა მომეწონა. ეგ ის ხომ არ არის, მესამე კლასში რომ ვსწავლობდით და აუზში გადაუძახე?

**მელისა** — არა, ის სულ სხვა კატა.

\* \* \*

**ენდი** — გიგზავნი ამ სულელურ ბარათს და ნათლისძებას გილოცავ. ცეკვაზე მინდა გელაპარაკო. ჩემს მშობლებს უნდათ, წელს ცეკვის სასწავლებლად ვიარო. გამაგებინე, რაში მჭირდება ცეკვა? გაგიუდება კაცი! ესენი ხან იმას ცდილობენ, გოგოებს არ გავეკარო, ხან კი ჩამჩიჩინებენ, გოგოებთან უფრო ხშირად

იყავიო. შენ ივლი ცეკვაზე? მომწერე, ან ხო, ან არა. ვიცი, რომ წერილების წერა გეჯავრება.

**მელისა — ვივლი.**

**ენდი —** პატივცემულო მის მაკფეი, დიდ ბოდიშს გიხდით გუშინდელი საქციელისათვის. მეც და ჩარლიმაც ნამდვილად ავტორით მანქანაში, როცა ცეკვის სასწავლებლიდან წამოვიყვანეთ. მაპატიეთ, მელისას კაბა რომ დავუხიე. მამა მეუბნება, მის მაკფეიმ კაბის ანგარიში გამოგიგზავნოს და ზარალი შენი დანაზოგიდან აუნაზღაურეო.

**მელისა —** ძვირფასო ენდი, დედა ჩემს სანახავად ლეიკ-პლესიდში რომ ჩამოვიდა, შენი წერილიც ჩამომიტანა. ნახე, ერთი, რა კარგ წერილებს წერს, ეგებ მიბაძოო. მე კი მგონია, სისულედეა. დაწმუნებული ვარ, მამაშენმა გიკარანხა. ჩვენ ხომ მაინც ვიცით, რომ ყველაფერში ჩარლია დამნაშავე. მადლობა ღმერთს, ის გულშიაც არ გაივლებს ბოდიში მოიხადოს. ამიტომაც მომწონს და რუმბასაც ამიტომ ვცეკვაც ჩარლისთან და არა შენთან, შენ მშობლების მონა ხარ. რასაც გეტყვიან, იმას აკეთებ. მიიღე ჩემგან ჯაჭვით დაბმული მოცეკვავე დათვის პორტრეტი. ეს შენა ხარ, ენდი, ხანდახან.

**ენდი —** არ გამიბრაზდე. რა ვქნა, მიყვარს ბარათების წერა. ლიტერატურაშიც სიამოვნებით ვთხზავ დავალებებს, მაგრამ განსაკუთრებით მიყვარს, შენ რომ გწერ. დედაშენს იმიტომ მივწერე, ვიცოდი, წაგაკითხებდა. თითქოს შენ გელაპარაკები და ვიცი, ვერ შემაწყვეტინებ. მამა მეუბნება, ადამიანებმა ერთმანეთს ხშირად უნდა მისწერონ, რადგან წერილში მათი სული ბოლომდე გადაიშლებაო. მეც ასე ვფიქრობ.

**მელისა —** ყველაფერში მამას ხომ არ უნდა მიჰპაძო?! გვეყო, დავანებოთ თავი ამ მიმოწერით კამათს. დილიდან საღამომდე თხილამურებით ვსრიალებ. აქაურობა მომწონს და თავს მშვენივრად ვგრძნობ.

**ენდი —** მალე გამოვანმრთელდი. სამწუხაროა, ფეხი რომ მოგიტებია!

**მელისა —** დედა მეუბნება, ჯიუტი ხარ და ფეხიც ამიტომ მოიტეხეო. ნეტა მარჯვენა ხელი მომტეხოდა, წერილების წერას თავს დაგდლწევდი. გიგზავნი საავადმყოფოს ღამის ჭურჭლის ჩანახატს. ხომ საოცარი ფორმისაა?

**ენდი —** მისის ფურგესონ ბრაუნს. მივიღე თქვენი თავაზიანი მოწვევა

თქვენი შეილიშვილის მელისას პატივსაცემად გამართულ ბავშვთა საქელმოქმედო მეჯლისისწინა წვეულებაზე. პატივისცემით, ენდრიუ ლედ მესამე.

**მელისა** — ამ წერილს იმიტომ გწერ, რომ დარეკვისა მეშინა. რომ დაგირეკო ალბათ, ყურმილში ავტირდები. ძალიან გამაბრაზე! ნუთუ არ იცი, რომ მეჯლისის წინა ვახშამზე თუ დაგპატიუეს, დიასახლისს ორი ცეკვა მანც უნდა მიუძღვნა?! რა შუაში იყო დიდედაჩემი? იმან იმიტომ კი არ მოაწყო წვეულება, ჩემთან არავის უცეკვე! რას მოეწებე ჯინი უოტერს? რატომ ერთხელ მანც არ მაცეკვე? ეს უზრდელობაა! უწესო!! ქალებს ასე თუ მოექცი, კარგი დახლი დაგიდგება! ჯანდაბამდის გზა გქონა, ენდი! და აკირა დღეს კი — ჯანდაბის იქითაც!

**ენდი** — შენთან მხოლოდ იმიტომ არ ვიცეკვე, რომ საზარდული გამეჭიმა. თუ არ იცი, ეს რა არის, სამდიცინო ლექსიონში ნახე. მინდოდა, მეთქვა, მაგრამ შემრცხვა. წინა კვირას, ჰოკის რომ ვთამაშობდი, მაშინ შემტბოხა. ჯინი უოტერთან იმიტომ ვცეკვავდი, მოკლე ნაბიჯი აქვს. შენ კი მოელ საცეკვაო დაბაზში მაფრიალებ. წამოსვლის წინ დედაჩემს ვეცეკვე და მაგრად მეტკინა. შეიგნე, შენთან რატომაც არ ვიცეკვე? ეხლა კი ვგდივარ ლოგინში და იმ ადგილას სათბურა მადეგს. არა უშავს, მომავალ კვირას კლუბში ვიცეკვოთ.

**მელისა** — ჰოკი კი არა, ჯინი გაგიჭიმავდა საზარდულს. არ გაბედო, არ მომეკარო, თორებ მეორე საზარდულს მე გაგიჭიმავ.

**ენდი** — ესე იყი, არ გცოლნია რა არის „საზარდული“.

**მელისა** — შენ კი „ხუმრობა“ არ გცოლნია.

\* \* \*

**მელისა** — ახალ წელს და შობას გილოცავ! აბა, თუ გამოიცნობ, რას ვაკეთებ? ნურც ეცდები: რომ მოკვდე, ვერ გამოიცნობ. ფსიქოანალიტიკოსთან დავდივარ. დედამ — მოგიხდებაო. არავის უთხრა. ეს დიდი საიდუმლოა და ჩემის შორის დარჩეს.

**ენდი** — ახალ წელსა და ქრისტესმობას გილოცავ! ერთ რამეს გკითხავ და პასუხი წერილით გამეცი, რადგან როცა რეკავ, მეორე ყურმილს ან დედაჩემი იღებს ან ჩემი უმცროსი მმა. ფსიქოანალიტიკოსს სექსზე ელაპარაკები?

**მელისა** — აბა რა! მხოლოდ და მხოლოდ სექსზე ვსაუბრობთ. სეანსები ძალიან ძვირია, მაგრამ, ჩემის აზრით, ღირს.

**ენდი** – ფსიქოანალიზზე რომ დავდიოდი, ექიმს მხოლოდ შენზე ველაპარაკებოდი. ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად ვფიქრობ შენზე.

**მელისა** – ხანდახან მეჩვენება, თქვენზე მდიდრები რომ ვართ, იმიტომ მოგწონვარ. მართლა, მართლა! ხომ მოგწონს აუზი ბებიაჩემის სასახლის წინ? ლიფტი? მოგწონს, ბების თეთრხალათიანი მსახურთუხუცესი ვერცხლის ლანგრით რომ მოგვართმევს ხოლმე ლიმონათსა და ნამცხვარს. მგონი, ეს ყველაფერი ჩემზე მეტად მოგწონს.

**ენდი** – დედაჩემი მეუბნება, მელისას თუ შეირთავ, ვიდრე იცოცხლებ, თავი ჭედში გექნებაო. სულ შენთან ყოფნა მინდა. ამიტომაც მომწონს ბებიაშენის ვიწრო ლიფტში შენთან ერთად ზემოთ-ქვემოთ გრიალი.

**მელისა** – მიშველეთ, მიხსენით! სამონასტრო სკოლაში გამაწესეს! დავიღუპე! ფორმა ჩამაცვეს. ყოველ დილით გაყინულ დარბაზში გამამახვებელ ვარჯიშებს მაიძულებენ და საკლასო ოთახში ხმამაღლა მაზეპირებენ ფრანგულს. „ადემუა მონ შევალიე!“ ო, ღმერთო, რა დავაშავე! ნეტა ვინ შეყარა აქ ის ჭყიბინა გოგობი, ყოველ დღე ვახშმობის შემდეგ ტუალეტში ერთად რომ დადიან და კუილით იკლებენ იქაურობას. ქალაქში აკირაში ერთხელ და ისიც დიდების მეთვალყურეობით გვიშვებენ. აბა, თუ გამოიცნობ, ვაუებთან ცეკვა რამდენჯერ არის ნებადართული? წელიწადში ერთხელ! ლუდის სმაზე თუ შეგისწრეს, ღვინოზე არაფერს ვამბობ, იმ წამსვე გუდა-ნაბადს აგიკრავენ და შინ მიგაბრძნებენ, რაც ამ სკოლაში ყოფნაზე უარესა. ვაგ როგორმე ჩამოხვიდე კვირა დღეს; მხოლოდ ოთხიდან ექვსამდე შემიძლია ჩაიზე დაგაბატიუროთ ვაუები. მაგრამ იქაც ლამის თვალებიდან გადმოცვიდნენ ზედამხედველი მონაზვნები. თუმცა, თუ კარგი ამინდია, საღამოს ლოცვამდე პარკში სეირნობასაც არ გვიშლიან. ჩემთან ერთად ოთახში სქელტრაკა კუბელი ძუძა ცხოვრობს. ცხრა წყვილი ფეხსაცმელი აქვს. სულ წევს და ერთი და იგივე სიმღერას უსმენს: „სანფრანცისკოში დავტოვე გული!“ აქაურობა რომ ნახო, გაგიუდები. ყველაფერი მწვანედ არის შეღებილი. წარმოგიდგნია! ნეტა სად ნახეს ასეთი მახინჯი მწვანე?! კედელს ხელს ვერ ახლებ: ზედ რამის დაკიდება ან გაკვრა აკრძალულია. მხოლოდ სკოლის ვიმპელი ან მშობელ-ნათესავთა სულელური ფოტოები! მე? მე რა გავაკრა? რომელი

ნათესავების სურათები? ჩემი მამინაცვალის პუპერ მაკვეის სიფათი ხომ არა? ენდი, მიშველე! მომწერე რამე, რომ მამაკაცის ხმა გავიგონო... ქალალდზე მაინც.

**ენდი** — ეს-ეს არის შენი ბარათი მივიღე. მეც ინტერნატში გამგზავნეს. დედაშენს უთქვაშს დედაქემისთვის, არა უშავს, მოუქნდებაო. თქვენი ვაჟი დაუშემავებელი ალმასიაო. დღეს ამას დავჯერდეთ. მალე ისევ მოგწერ.

**მელისა** — ძეირფასო აღმასო, შენც ინტერნატში დაგმალეს? რა მშობლები გვყავს?! ხან „ერთად იყავითო“, ხან კი — გვაშორიშორებენ. როგორ გვზრდიან?! ვინ გვზრდის? ვიღაც მორალურად მახინჯი ხალხი! ახლა, მინდა თუ არა, წერილები უნდა გწერო. ეს კი, აღბათ კარგად გახსოვს, როგორ მეჯავრება. აჯანყდი, ნუ დაანებებ მაგათ, გამგონე ბიჭად გაქციონ. სწორედ ჯანყი და ამბოხი გაკლია. სიყვარულით. მე.

**ენდი** — მაპატიე, ასე დაგვიანებით რომ გპასუხობ, მაგრამ ვერ მოვიცალე. კვირაში ერთხელ მშობლებს უნდა მივწერო. თვეში ერთხელ ორივე ბებიასა და ბაბუას. ჩვენმა მზარეულმა მინიმ შინაურული ნამცხვარი გამომიგზავნა და იმასაც დავუწერე სამადლობელი ბარათი. ამას გარდა, გაკვეთილებიო, ისტორიასა და ლიტერატურაში წერითი დავალებებიო და აბა, რა დრო დამრჩება?! გასულ კვირას იმდენი გაკვეთილი მქონდა მოსამზადებელი, შინ წერილი ვერ გავაგზავნე. აღლოვებულმა მამაჩემმა სკოლაში დარეკა. რექტორმა კაბინეტში გამომიძახა. თავის მართლებამ არ გაჭრა. ზარალის ასანაზღაურებლად სამგვერდიანი ბარათი დამაწერინეს. მხოლოდ ამიტომ ვერ გიპასუხე დროულად. ისე, ნორმალურად ვსწავლობ. ამ წუთას ისევ ვწერ, ჯ. მიღწონის „და კარგული სამოთხის“ გარჩევას ვამთავრებ. ისტორიაში ოცდათწლიანი ომის მიზეზებსა და შედეგებზე ვართ. იცი, ეს ომი ნაღდად კათოლიკებმა წამოიწყეს. ლათინურში ვთარგმნით ციცერონის სიტყვას, კატილინას წინააღმდეგ რომ წარმოუთქვამს: „ო, კატილინა, არ დაგავიწყდეს, ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარიო“. ზუსტად ამ სიტყვებს ჩემს უმცროს მმას ვუმეორებ ხოლმე, როცა შინა ვარ. ფრანგულის მასწავლებელი ხმამაღლა გვიკითხავს რასინის „ანდრომახას“. შედევრიაო, ამ ნაწარმოებზე ამბობენ, მაგრამ ფრანგული ფაზკულტურის შემდეგ გვაქვს და ყველას გვემინება. თეოლოგის გაკვეთილზე ოთხივე სახარებას ვადარებთ. დაუკერებელია, რომ ოთხივეში ერთსა და იმავე

ადამიანზეა საუბარი. მათემატიკაში ორუცნობიან განტოლებებს გვიხსნან. ხანდახან წარმოვიდგენ, რომ მე იქსი ვარ, შენ კი – იგრევი. საინტერესო რამეები გამოდის. ნიშნები კარგი მაქს. ორშაბათს გასული კვირის შედეგები გამოაკრეს. 92 ქულა დამიგროვებდა! ცუდი არ უნდა იყოს. ამას წინათ, ბაბუაშ მომწერა: გთხოვ, ფრიადოსანი ნუ გახდები, რადგან წარჩინებულები მხოლოდ ებრაელები არიან. დავამშვიდე, ფრიადოსანი არა ვარ-მეთქი და რომც ვიყო, ებრაელი მაინც არავის ვეგონები ერთი უბრალო მიზეზის გამო: ჩვენ სკოლაში ებრაელები არა სწავლობენ. რამდენიმე კათოლიკე გვყავს, მაგრამ პირადად მე ნიჭიერი კათოლიკე ჯერ არ მინახავს. მომილოცე, მოსწავლეთა საბჭოში ამირჩიეს, ჩვენი უფლებები უნდა დავიცვა. საქმე ბევრია, ჯერ ერთი, მიმაჩნია, რომ ვარჯიში ღია ცის ქვეშ უკეთესია, ვიდრე მხოლოდ დარბაზში, მატჩებიც სხვა სკოლების გუნდებთან უნდა ჩატარდეს და არა მხოლოდ შიდა სასკოლო; ცეკვის საღამოები უფრო ხშირად უნდა იმართებოდეს. ქალთა საზოგადოება მხოლოდ უფროს კლასელებს კი არა, პატარებსაც აკეთილშობილებს. და კიდევ, კვირა დღეს ერთხელ ლოცვაც საკმარისია. ლოცვა საჭიროა, თქმა არ უნდა, მაგრამ კვირადღეს დილიდან საღამოდე სამლოცველოში ყურყუტი მოსაწყინა. და თუ ჩვენ თვითონვე გულს ვუწყალებთ ჩვენს თავს, ადვილი წარმოსაგებნია, რა დღეში ჩაგვადებთ მამაწეციერს. ეხლა ფეხბურთის გუნდში ვარ. ზამთარში ჰოკეის ვითამაშებ. გაზაფხულზე ნიჩბოსნობას დავიწყებ, რადგან კალათბურთში უნიჭო აღმოჩნდი. დღეს ზეპირად უნდა ვისწავლო „დაკარგული სამოთხის“ ბოლო ოთხი სტრიქონი. როცა ვკითხულებდი, სევდა შემომაწვა. ჩვენი თავი მოძაონდა: შინიდან ამ საშინელ ინტერნატებში გამოგდებული მელისა და ენდი – მე და შენ. აი, ეს სტრიქონებიც:

ერთხანს სტიროდნენ... და როდესაც შეიშრეს ცრემლი,

გადაეშალათ ოვალწინ ტურფა სამოთხე ვრცელი,

ანცობენ, რბიან, უკოცნიან ერთმანეთს ხელებს,

მაგრამ რას გრძნობენ? ნუთუ ისევ სიმარტოხელეს?

რაც კარგია, კარგია. ზეპირად დავწერე. მერე შევამოწმე და არ შემშლია, ზუსტად დამიმახსოვრებია. ხო მაგარი ვარ? იცი, რა ლამაზად უდერს ეს სიტყვები შხაპის ხმაურში, ან უნიტაზში წყალს რომ ჩავუშვებ მაშინ... სიყვარულით. ენდი.

**მელისა** – წერილისათვის გმადლობ, თუმცა ძალიან გრძელი იყო.

მესმის, ყველაფერზე გინდა მომწერო, მაგრამ ეგ ამბები არ მაინტერესებს, სამაგიეროდ ძალიან, ძალიან მაინტერესებს რასა გრძნობ. მაგალითად, მე ვგრძნობ, რომ ჩემი სკოლა განავლით სავსე კასრია, მაგრამ, შინ დაბრუნება მაინც არ მინდა, რადგან მამინაცვალთან ერთჭრქვეშ ყოფნას ეს მირჩევნა. ამ ქვეყნად არ არსებობს ინტერნატი, სადაც ადამიანურად იცხოვრებს კაცი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი მსოფლიოც განავლით სავსე კასრია, ოღონდ უზარმაზარი. მომწერე. სიყვარულით. მე.

**ენდი** – ბოლო ხანია მონატრების შეგრძნება აღარა მტოვებს. ჩემი პორგი, ჩემი ძალლი მენატრება. ხომ გახსოვს პორგი, ჩემი კოკერ-საპანიელი, შენ რომ მიუალერსე და იქვე, ხალიჩაზე ჩაიფასა. აქ ზოგიერთ მასწვლებელს ჰყავს ძალლი. მათ რომ ვუალერსებ, თითქოს პორგისთვის გადამისვია ხელი. ხანდახან მესიზმრება კიდეც. კლასგარეშე თხზულებაც პორგიზე დავწერე. სათაური არ გაინტერესებს? „ნეტა თუ ვახსოვარ?“ ხუთიანი მივიღე. ჩემს საწერ მაგიდაზე მშობლების ფოტოსურათებთან ერთად პორგის ფოტოც მიდევს. სხვათა შორის, შენი ფოტო არა მაქვს. ხომ გამომიგზავნი? გამომიგზავნე, გთხოვ.

**მელისა** – ეს სურათი პარფორდის ავტობუსების სადგურში გადავიღე. სკოლიდან გაქცევას ვაპირებდი, მაგრამ გადავიგიქრე. იმიტომ არ ვიღიმები, რომ კბილების გასასწორებლად მეტალის სქელი მავთული ჩამიდგეს. ჩემთვის შესაფერის ვარცხნილობას ჯერ ვერ მივაგენი და თმებიც იმიტომ მაქვს აჩეჩილი. სიტყვამ მოიტანა და სპენსერ ვიღისს, ასეთ ყმაწვილს ხომ არ იცნობ? აქ გვყავს ერთი გოგო, ენი ებოტი. გასულ ზაფხულს ედგარ თაუნში გაუცვნათ ერთმანეთი. კარგი ბიჭიაო, ასე ამბობს. ერთი გამიგე, რას ფიქრობს ეგ ვაჟაფონი ჩენ გოგონაზე.

**ენდი** – სპენსერ ვიღისმა მითხრა, ენი ებოტი პოტენციური ბოზიაო. სამწუხაროა, მაგრამ, მგონი, მართლაც ასეა.

**მელისა** – ენიმ – სპენსერს გადაეციო, რომ გაფხორილი ინდაურია! უთხარი: ამას თვითონვე მოგწერდა, მაგრამ ეშინია, შენი სახელის სსენებაზე არ წაარწყოთს.

**ენდი** – მადლიერების დღესასწაულზე შინ თუ გიშვებუნ? ჩვენ არ გვიშვებნ – ომიაო.

**მელისა** – ჩვენებს უშვებენ, მე კი – არა. დასჯილი ვარ. სიგარეტს ვეწეოდი და ჩამავლეს. ამიტომ ინტერნატში უნდა ვიჯდე და

კუბელებთან და კალიფორნიელებთან ერთად ინდაურის დამპალი ხორცი ვჩეთქო. ამ დღეს დედას უნდა შევტვედროდი ნიუიორკში, მაგრამ, როგორც სჩანს, ჩემთვის ისედაც ვერ მოიცლიდა, რადგან ნევადაში მიფრინავს და თუ ხვდები, რატომ? ჩემს მამინაცვალს პუპერტี้ მაკეის ეყრდნა! ვაშა და ვაშა! პუპერტი დარტყმული და შერეკილია. თანაც შემიჩნდა უტიფრად, თავზედურად და მეთოდურად. მინდა ეს იცოლე.

**ენდი** — საშობაო არდადეგებზე შენი ნახვა ძალიან გამეხარდა. განსაკუთრებით მესიამოვნა კბილების გასასწორებელი ჯართი რომ მოგიშორებია. შენთან ცეკვა ნეტარება. თანაც ისეთი ნაზი კანი გაქვს, რომ... გახდები ჩემი გოგო?

**მელისა** — რაო? ჩემი გოგოო ეგ რაღა ჯანდაბაა. გული მერეოდა უასტონების სახლის ნახევრადბნელ სარდაფში მუწუკებიან გოგოებს რომ ვუყურებდი, უფრო მეტად მუწუკებიან ბიჭებს რომ ეკიდნენ კისერზე; ცეკვავდნენ თუ ჭიბებს იხეხავდნენ, ვერ გამიგია?! მართალს ამბობს დედაჩემი, ყველას უნდა შეწვდე, კაცის ფსიქოლოგია კარგად რომ შეისწავლო და მერე ცოლად ყველაზე საუკეთესოს გაჰყვე. თავად ეს არ გამოუვიდა, მაგრამ ჩემი იმდი აქვს.

**ენდი** — საგაზაფხულო არდადეგებზე კინოში მაინც არ წამომყები?

**მელისა** — არ ვიცი, ენდი — შენთან ყოფნა მიყვარს, მაგრამ შინისკენ გული არ მიწევს. დედამ სმა დაიწყო. დალევს, შემოვა ჩემთან ოთახში და ლაპარაკობს, ლაპარაკობს, ლაპარაკობს, გაუთავებლად, ენა ებმევა, სიტყვებს ვერ გამოთქვას და ასე შემდეგ. არდადეგებზე ერთადერთი ნათელი დღე მქონდა, თქვენთან საშობაო გახშამზე რომ მოვდი. გახსოვს, როიალს ალყა შემოვარტყით და ყველა ერთად ვმდეროდით? შენს ძმას შაშში რომ მოვუგე? დედაშენს საწებელი რომ შევაგაზმინე, ისიც გახსოვს? რა კარგი იყო... შესაძლოა, თქვენ იმდენი ფული არ გაგაჩნიათ, რამდენიც ჩვენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ნამდვილი ოჯახი და თბილი სახლი გაქვთ. საგაზაფხულო არდადეგებზე პამ-ბიჩში მივდივარ, ბებიასთან. მზეზე მაინც გავშავდები. პოსტ-კრიპტუმ. წერილს თან ახლავს ჩემი ახალი შედევრი — შენი ძალლის — პორგის პორტრეტი. დრუნჩი, შესაძლოა, არ უგავს, მაგრამ თვალები ჩინგბულად გამომივიდა.

**ენდი** — ეხლა მეოთხე გუნდში ვარ. გუშინ მესამე გუნდის მეორე რიგის მენიჩბე გახლდით. ხვალ, შესაძლოა, მეორე ჯგუფის

მექქსე ან მეხუთეს მეოთხე რიგში დამსვან. ვერაფერი გამიგია. ვცდილობ, თავს ვიკლავ, ლამის ჭიბი გამერღვას, მეორე დღეს კი გამოაკრავენ სიას და უარეს გუნდში აღმოჩნდები. ან პირიქით, გაგებაში არა ხარ და მოწინავე გუნდში გადაგახტუნებენ. რაც მთავარია, არ გეუბნებიან, ამას რატომ სჩადიან. ეგებ, არასინქრონულად ვუსვამდი ნიჩაბს. ეგებ, წელი გამართული არ მქონდა, არ ვიცი, ვერ გეტყვი, რაც არ ვიცი, არ ვიცი. ერთხელ ჩვენს მწვრთნელს ვკითხებ: „მისტერ კლარკ, რა ნიშნის მიხედვით გვახტუნავებ გუნდში-შეთქი?“ იცი, რა მიპასუხა? „ასეთია ცხოვრებაო“, — და წავიდა. შეიძლება მართლაც ასეთია ცხოვრება, მაგრამ მე არ მომწონს. ნუთუ შეუძლებელია, ისეთი წესები შემოილონ, ნიჭირი წინ მიიწვედეს და უნიჭო კი გუნდში მიჩანჩალებდეს? სერიოზულად გეკითხები, არ გეხუმრები. ალბათ, იურიდიულზე მომიწევს შესვლა.

**მელისა** — მივიღე შენი ნიჩბოსანი წერილი... სტივ სკალის ხომ არ იცნობ? ფლორიდაში გავიცანი. მითხრა, თითქოს თქვენს სკოლაში სწავლობს და ნიჩბოსნობს კიდეც. პირველი გუნდის პირველი ნიჩბოსანი ვარო. მგონი, ტყუის.

**ენდი** — რასაკვირველია, სტივ სკალი ტუის. ის რომ ნავში ჩასვა, აყირავდება, ისეთი დონდლოა. შენზე მითხრა, ყველაფერი გვქონდა, იმის გარდაო... მართალია?

**მელისა** — სტივ სკალი ძაღლის გაგდებული და მატყუარაა. გადაუცი, მელისამ ასე შემოგითვალა-თქო.

\* \* \*

**ენდი** — ამ ზაფხულს რას აპირებ? შინ წახვალ? მე გოლფკლუბში მინდა წავიმუშავო, ცოტა უულს მაინც ვიშოვნი. მადლობა ღმერთს, ბანაკში არ მგზავნიან.

**მელისა** — კალიფორნიაში მივდივარ, მამასთან. ოთხი წელია არ მინახავს. ახალი ცოლი და ორი შვილი ჰყავს. ასე რომ, დედისერთა აღარა ვარ, ორი და მყავს. ჩემს ახალ ოჯახს გავიცნობ... დიდი იმედი მაქვს, იქ ყველაფერი კარგად იქნება.

\* \* \*

**ენდი** — მოგეწონა კალიფორნიაში?

**ენდი** — მომწერე რამე კალიფორნიაზე. როგორია შენი ახალი ოჯახი?

**ენდი** — მიიღე ჩემი წერილები? რატომ არ მპასუხობ? დედაშენს დავურეპე, მისამართი ხომ არ მეშლება-მეთქი.

**ენდი** — სკოლაში დავბრუნდი. იმდინა, შენც კარგად ხარ. მიიღე ჩემი გამოგზავნილი წერილები კალიფორნიაში? ეგებ, დედინაცვალი გიმალავდა ფოსტას?

**მელისა** — კალიფორნიას ნუ გამახსენებ, გთხოვ. ერთხანს მეგონა, ორი ოჯახი მქონდა. თურმე არც ერთი არა მქონია. რა ბედნიერი ხარ, ენდი — შენ ალბათ, ვერცა გრძნობ, რა ბედნიერი ხარ. მეონი, ბედი მეც მალე მეწევა, ჩემმა ხელოვნების მასწავლებელმა მისის ოდსვორდმა მითხრა, ხატვის ნიჭი გაქვსო. დამპირდა, კვირა დღეს ჩემს სახელოსნოში ნატურის დასახატად წაგიყვან. ის ნატურა ოდსვორდის საყვარელია. სულ ტიტველი არ იქნება, საცურაო ტრუსები ეცმევა. ნუ იცინი. მასწავლებელმა მითხრა, ხელოვნება და სექსი ერთი და იგივეა.

**ენდი** — ძვირფასო მელისა, გიგზავნი ოთხ შეკითხვას და გონი მოიკრიბე:

1. ჩამოხვალ თუ არა ზამთრის მეჯლისზე?
2. თუ შეძლებ, გამოჰყები მატარებელს, პარასკევს საღამოს თერთმეტზე რომ ჩამოდის?
3. საჭიროა თუ არა, ამის შესახებ ჩვენმა დირექტორმა მისწეროს თქვენს დირექტორს?
4. საჭიროა თუ არა, მანვე მისწეროს დედაშენსაც?

**მელისა** — პირველ სამ შეკითხვაზე დადგებითად გპასუხობ. დედას კი ნუ მისწერთ. მისთვის უკვე სულ ერთია ყველაფერი.

\* \* \*

**ენდი** — თავს ვიკავებდი, მაგრამ ვეღარ მოვითმინე და გწერ. ძალიან მაწყენინე. მე გიწევვ მეჯლისზე, რომელიც წელიწადში ერთხელ იმართება: გხვდები სადგურში და რძიანი კოქტეილით გიმასპინძლდები. ტაქსით მიგაბრძანებ სკოლაში. მეორე დღეს ჰოკეის მატჩზე გპატიუებ და შენს პატივსაცემად ორი გოლი გამაქვს. შენთვის ვარდების რვადოლარიან თაიგულს ვყიდულობ; ვჩალიჩობ, რომ ცეკვის დროს პარტნიორებად ყველაზე უნდილი ყმაწვილები შეგახვედრო და სამაგიეროდ რას მიკეთებ? როგორც მითხრეს, ვენის ვალსის დროს, ბობ ბარტრამთან ერთად გასახდელში იპარები და ბუბნაობ. იმ ორ დამსმენს არ დავუჯერებდი, მაგრამ საუზმეზე თვითონ ბობი ტრაბახობდა:

შიგ ტუჩებში ვკოცნიდი და ორივე ძუძუც დავუშუშავეო. უნდა გამერტყა, მაგრამ მისტერ ებოდიმ გამაკავა. რატომ ჩაიდინე ეს, მელისა? რად გაანადგურე ყველაფერი, რაც ძვირფასი იყო ჩემთვის? შენ არ იცი, როგორ მატკინე გული, განსაკუთრებით, იმას თუ გავიხსენებთ, რომ გამომშვიდობებისას ლოფაზეც კი არ მაკოცნინე! მორჩა, მეტს აღარ მოგწერ, აღარც დავრეკავ... გულწრფელად თქვენი...

**მელისა** — მაპატიე, გემუდარები, მაპატიე. ბობი ბარტრამი ჭირივით მეზიზღება. როცა მეზვეოდა, მაშნაც მეზიზღებოდა. შეგიძლია, არ დამიჯერო, მაგრამ ასეა; ხანდაზან რაღაცა ძალა იმისკენ გიბიძგებს, ვინც გევავრება. აღბათ, შენ ასე არ გემართება. მართალი უთქვაშს, მეზვეოდა, მაგრამ მკერდზე არ შემხებია. და თუ არ დაიშლის და თავისას დაიჩემებს, ყველებზე ყოფილა დასაკიდი. აი, ზუსტად ასე გადაეცი ჩემგან... საუზმეზე. ასეა თუ ისე, ჩემო ენდი, დავუსტვინე. სულელი ძუენა ვარ და ძალიან, ძალიან ვწუხვარ, ეს რომ ჩავიდინე. ისე მრცხვენოდა, გამომშვიდობებისას ვერც კი მოგიშვირე ლოფა. ენდი... როგორ გითხრა, არც ვიცი... ერთი სიტყვით, ო, ღმერთო... შენ ჩემთვის... სულ სხვა ხარ. ძმასვით მიყვარხარ. ძმა არასდროს მყოლია. მეგობრებითაც ვერ დავიტრაბახებ... შენ ჩემი ძმაცა ხარ და მეგობარიც... თუმცა დედაჩემმა მითხრა, ეს კაცებთან არ წამოგცდესო; დიდხანს რომ არ ვიცნობდეთ ერთმანეთს და ამ სულელურ წერილებსაც არ ვწერდეთ, აღბათ, შენთანაც ისე მოვიქცეოდი, როგორც ბობი ბარტრამთან. თუ შეიძლება საზაფხულო არდადეგებზე შევხვდეთ... გეხვეწები, ენდი... არ შემიძლია უშენოდ. ნამდვილად შევიშლებოდი, შენ რომ არ მყავდე. სიყვარულით...

\* \* \*

აღდგომას გილოცავ! ვიცი, ვიცი... სააღდგომო ბარათებს მხოლოდ შინაბერები აგზავნიან: ეს მე დავხატე, ხედავ, სააღდგომო ბაჭიას თვალთაგან ცრემლი სდის. საწყალ ბაჭიას შენ ენატრები, ენდი — აღბათ, გაიფიქრე, ღმერთო, რა დაგიშავე, ამას ვის გადამკიდეო!

\* \* \*

სალამი ჰამ ბიჩიდან: ბებიასთან ჩამოვედი. საშინელი მოწყენილობაა. მოხუცებს ბანქის ვუგებ და გენიოსი ხარო, მეუბნებიან. ჩიტმა ამბავი მომიტანა, თეატრში ვნახე გრეთხენ ლასილესთან ერთად, წელზე ხელი შემოხვია და სიგარეტს ეწეოდაო. აი, აი, აა!

\* \* \*

სკოლაში დავბრუნდი, მაგრამ ჩამოსვლისთანავე მე და ბაბლზ ჰარიმანი ჯინის სმაში გამოგვიჭირეს და გუდა-ნაბადი აიკარითო, გვიძრბანეს. ხვალ შინ მგზავნიან, დედამ უკვე ქვეყანა შეჰყარა, საღმე ლირსეული სასწავლებელი მაპოვნინეთო. ხელოვნების მასწავლებელი ისევ მაწვება, იტალიაში სამხატვრო სკოლაში რომ წავიდე. რას მირჩევ? ენდი, მომწერე, გთხოვ; თუ ისევ გრეთხენზე ოცნებობ და ჩემთვის არ გცალიან.

**ენდი** — ჯერ ძალიან ადრეა შენთვის იტალიაში გამგზავრება. დედაჩემის მეგობარი გოგო, როცა მეცხრე კლასში იყვნენ, ყოფილა იატალიაში. ქუჩაში კაცები ისე არ გაატარებდნენ, ტაქუნებზე ხელი არ აქვთათ. ამიტომ სულ აღზურებული ყოფილა და აღარც კი ახსოეს, რა ნახა. სხვა სკოლაში გადადი. სწავლას რომ დაამთავრებ, კოლეჯში მოსინჯე ძალა და როცა მოჭკვიანდები, შეგიძლია იტალიაშიც გაემგზავრო. ეს ჩემი რჩევა, შესაძლოა, არც გამოგადეს, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს დღევანდელ ურთიერთობას.

\* \* \*

**მელისა** — მომილოცე, ემა ვიდარდის სკოლაში შემტენეს. ღმერთო გადამარჩინე! სკოლა კი არა, ლესბოსელ ქალთა საკრებულოა! ეი, არავინა ხართ? მიშველეთ, ვიღუპები! ზაგზულში შინ წაცვალ? ძალიან მინდა შენი ნახვა. გრეთხებ ლასილესი ისევ გიყვარს?

**ენდი** — არ ვიცი, გაინტერესებს თუ არა, მაგრამ გრეთხენს აღარ ვხვდები. პეგის დაბადების დღიდან ჩემთან მივიყვანე და მამაჩემმა შემოგვისწრო, ლივაზე რომ ვიწექით. მერე გამომიცხადა, ჩემთვის სულ ერთია ვისა ხვდები, მაგრამ კატეგორიულად გიკრძალავ მსუბუქი ყოფაქცევის ქალების ჩვენთან მოყვანასო. რატომდაც გრეთხენი ბოზი ჰეროათ.

**მელისა** — მაშ, ივნისამდე, ივნისამდე გემშვიდობები!

**ენდი** — ივნისში ვერ ჩამოვალ. ღარიბ ოჯახისშვილთა საქველმოქმედო ბანაკში უნდა ვიმუშავო. ჩვენი კლასის მამასახლისად ამძრჩიეს და მაგალითი უნდა ვუჩვენო ბიჭებს. ბანაკში ივლისის ბოლომდე დავრჩები. აუცილებლად მოგწერ. შენც მიპასუხე.

**მელისა** — არც მინდა და არც მოგწერ: როთ ვერ შეგაგნებინე, უნდა გნახო!

**ენდი** — სულ უკეთ და უკეთ სწერ... განსაკუთრებით სტილი გამოგიყეთდა.

**მელისა** — ნუ დამცინი. მალე ჩამოდი. ბანაქში წასელამდე ჩამოდი.  
მალიან გთხოვ. ერთ საღამოზე უნდა დაგპატიურ! ხომ ჩამოხვალ?  
შენ რომ გვერდით მყევხარ, უკეთ ვიქცევი. ჩამოდი! ძალიან,  
ძალიან გთხოვ!

**ენდი** — სალამი ნიუ-ჰემპშირიდან! ეს ქალაქი ჩვენი ბანაქის  
მეზობლადა. აქ ლუდის საყიდლად ჩამოვიპარებით ხოლმე.  
ამჟამად ბანაქს ვალაგებთ. ხვალ ბიჭები ჩამოვლენ. უნდა გავიქცე.  
მალე მოგწერ.

**მელისა** — მენატრები, მენატრები. სამწუხაროა, საღამოზე თან რომ  
არ მახლდი.

**ენდი** — მელისა, ძვირფასო! სენდი მაკარტი ჩამოვიდა მეორე ნაკადში  
სამუშაოდ და თქვენი ივნისის საღამოს შესახებ მიამბო. მართლა  
ბიკინების ამარა გამოცხადდი? გოგოებს ჩქმეტდა, გამოპრანჭულ  
ბიჭებს აუზში ყრიდაო. ნუთუ ეს გსიამოვნებს? თითქმის ყველა  
გოგო გაანაწყინაო. ნუთუ შენთვის სულ ერთია, პატივს გცემენ თუ  
არა საზოგადოებაში. ბაკი ზაილერმა მართლა ჩაგჩარა ბურთები  
ლიფში? ეს რა უბედურებაა? ოდნავ ღირსეულად ვერ მოიცევი?  
სენდიმ, მელისას თითს თუ დაუქნევ — შენიაო! კარგი სახელი  
მოგიხვეჭია. არ მეგონა, გრეთხენი თუ გვიობდა. სხვა აღარაფერი  
გაინტერესებს? თქვენი ოჯახის სიმდიდრის პატრონს, საქმე თუ  
ვერ გამოგინახავს, ღარიბებს მაინც დაეხმარე. მაპატიე, ამას რომ  
გწერ, მაგრამ სინდის ნამბობმა გული ამირია.

\* \* \*

ნიუ-ჰემპშირიდან წერილი გამოვიგზავნე. მიიღე თუ არა?

\* \* \*

სად ხარ, ისევ ბებიასთან გადაიკარგე?

\* \* \*

გაბრაზდი? ჩემმა წერილმა გაგაბრაზა?

\* \* \*

მაპატიე, ალბათ, რაღაც შემეშალა.

\* \* \*

ერთი შენი ჭკუა მაჩვენა!

**მელისა** — ხა! ხა! ხა! ეს ვინ მოსულა! გინება გცოდნია, ბიჭი!

**ენდი** — წალი შენი...

**მელისა** — დიდი სიამოქნებით...

**ენდი** — ყველა მაგას ამბობს, რომ გსიამოვნებს.

**მელისა** — მერედა ყველაფერი გჯერა, რასაც გაზეთები აქვეყნებუ?

\* \* \*

ძვირფასო ენდრიუ მიკეს ლედ მესამევ! ძალიან, ძალიან მაწყენინე! მოდი, შევეშვათ ერთმანეთს, კარგი?

**ენდი** — ძვირფასო მელისა! დედმ შემატყობინა ბებიაშენის გარდაცვალების ამბავი. ვიზიარებ შენს ღრმა მწუხარებას.

**მელისა** — გმადლობ. საწყალი ბებია ძალიან მიყვარდა! ხანდახან ჭკუის დარიგებით გულს მიწყალებდა, მაგრამ მაინც მიყვარდა.

**ენდი** — კოლეჯში მიგიღეს? ყოჩაღ! მომილოცავს.

**მელისა** — გმადლობ. მოსალოცი არაფერია, შენც კარგად იცი. კიდევ კარგი, ის დამპალი კოლეჯი ნიუ-იორკთან ახლოა და კვირაში სამჯერ სამხატვრო სასწავლებელში მეცადინეობას შევძლებ. ორი წლის შემდეგ, მანამ თუ არ გამომაგდეს, დედა მპირდება, ფლორენციაში გაგიშვებო. იმედია, შენი იელის უნივერსიტეტი მოგწონს.

**ენდი** — შაბათს 28 ოქტომბერს, ფეხურთის მატჩზე ჩამოსვლა ხომ არ გინდა?

**მელისა** — მინდა.

**ენდი** — მაპატიე, მელისა — შესვედრა უნდა გადავდოთ. ჩემებიც ამ შაბათს ჩამოვლენ. დედმ მომწერა, ძალიან კარგია თუ მელისასაც ვნახავთო. მაგრამ მე ვეღარ შევძლებ სათანადო ფურადღება მოქციო.

**მელისა** — რაო! ჩემებიო? როცა დავაუკაცდები, შემატყობინე.

**ენდი** — 16 ნოემბერს ჰარგარდის უნივერსიტეტს ვწვდებით, ჩამოხვალ?

**მელისა** — რომ გიბასუხო ჩამოვალ-მეთქი, ისევ რამეს მოიმიზეზებ?

**ენდი** — არა, არა! აუცილებლად ჩამოდი!

**მელისა** — კარგი, ერთხელაც ვცდი. გაფრთხილებ: საწყალი ბებიაჩემის ანდერძის წყალობით ფული ახლა უფრო მეტი მაქვს. ასე რომ, შენი კოლეჯის ჭიშკართან წითელი სპორტული

მანქანით მოვგრიალდები... სულ მთლად შიშველი. სიგნალით ავიკლებ იქაურობას, ხელში შაბანურით სავსე ბროლის ჭიქას დავიჭურ და ყველა პირველკლასელს გავეარშიყები.

**ენდი** — ჩვენი პროგრამა ასეთია: სადილი კოლეჯის რესტორანში, მატჩი კოლეჯის სტადიონზე. საზეიმი წვეულება მოფარიკავეთა კლუბში. ძილი. მეორე დღე: სადილი სან ინტონში, მოსვენება სასტუმრო „ტაფტში“ ან „დანკანში!. „ტაფტში“ სჯობს. „დანკანს“ საეჭვო სახელი აქვს.

**მელისა** — ზუსტად საჩემო ადგილი ყოფილა. „ტაფტში“, ჩვეულებრივ, მშობლები ჩამოხტებიან ხოლმე: მთელი დღე ვესტიბიულში სხედან და იწერენ, ვინ ვისთან ერთად შედის ლიფტში. ღმერთი! მალე გამითხნე 16 ნოემბერი.

**ენდი** — „დანკანი“ დაჯავშნულია!

**მელისა** — დავჯერი, რომ მადლობის ბარათი მომეწერა იელში გატარებული შაბათ-კვირისთვის, მაგრამ გადავიფიქრე. მიხვდები, რატომაც. სიყვარულით მელისა —

**ენდი** — ძვირვასო მელისა — თუ დამიჯერებ, ყოველ წამს უკანასკნელ შეზვედრაზე ვფიქრობ. რაღაც არ გამოგვიდა. მხოლოდ სასტუმრო „დანკანს“ არ ვგულისხმობ, ყველაფერს ერთად: აშკარად ვგრძნობდი, რომ შენ მე მიყურებ, მაგრამ, ვერ მხედავ და ჩემს იქით ვიღაცას ეძებ. ჩვენ სასწაულს ველოდით, ნატვრა კი არ აგვიხდა. სასტუმროშიც... არ ვიცი, დავთვერი... თუ შენ დალიე ზომაზე მეტი... იქაც, ნომერში, ცხადად ვგრძნობდი, რომ მარტონი არა ვართ. მეჩვენებოდა, თითქოს ერთად იდგნენ ჩემი მშობლები, დედაშენი, შენი აღმზრდელი, ბებიაშენიც კა... იდგნენ და გვიცქეროდნენ. ჩემი ბრალია. მე არ გამომივიდა არაფერი. ორშაბათსავე ექიმთან გავიქეცი და ყველაფერი უჟამბე. თურმე, ასე ხშირად ხდება. ნერვების ბრალიაო. ამ ღროს საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა ნერვიულობს და... გრეთხენთან ეს არ მემართებოდა. შევიძლია ჰკითხო ან მისწერო.

**მელისა** — იცი, რა ხდება? ამ სულელურ ბარათებში... მე ხომ მხოლოდ წერილების წყალობით გიცნობ. ჩვენი ურთიერთობანი ისე ხანმოკლეა, რომ... ჩემს იქით იხედებოდო... ეგებ, სწორედ იმას ვეძებდი, ვისაც შენს წერილებში დაგუახლოვდი? უფრო მეტიც, ეგებ ბევრი რამ წერილებში კი არ ამოვიკოხე, თვითონ გამოვიგონე. შეზვედრისას სულ ვერ გამსგავსებ იმ ენდის, წერილებს რომ მწერს. ცუდს არაფერს ვგულისხმობ.

მინდა, შეგავნებინო, რომ ჩვენ ერთმანეთი გამოვიგონეთ. უგებ,  
სასტუმროშიც ის ორნი იყვნენ, რომლებიც ფაქტიურად არ  
არსებობენ.

**ენდი** – ცუდად არის ჩვენი საქმე, მელისა – რა უნდა ვქათ? მოდი,  
ცეკვაზე დავიწყოთ სიარული. მე წელზე შემოგხვევ ხელს, შენ  
მომეკრობი და იქნებ ამ სიახლოვეზ წარმოშვას ის ნაპერწკალი,  
ორი ადამიანის ურთიერთსურვილს ცეცხლად რომ აქცევს. უგებ,  
ამიტომაც გამოიგონეს ცეკვა?

**მელისა** – გვიყო წერილები. დარეკე! საერთო საცხოვრებლის  
ტელეფონია 110 44.

**ენდი** – ტელეფონს ნუ გამაგონებ. შენი – ვესტიბიულში ჰქიდია, ჩემი  
– სასადილოს შესასვლელში. ამ ბაზარში როგორ ვისაუბროთ?  
ვერ ვიტან ამ ტელეფონს!

**მელისა** – სატელეფონო სადგურს დავურეკე და ტელეფონი ოთახში  
დამიდგეს. 110-24-03; ძვირი დამიჯდა, მაგრამ ადამიანურად  
მაიც ვილაპარაკებთ.

**ენდი** – რა ხდება, შენი ტელეფონი სულ დაკავებულია, ან ჩვენს  
ტელეფონზე ჰქიდია ვინმე. მოდი, ეპისტოლარული ურთიერთობა  
განვაახლოთ. იმდენი ფული არა მაქს, ოთახში აპარატი  
დავიდგა!

**მელისა** – არა, არ მინდა! გააყვანინე ტელეფონი, უულს გასესხებ.  
დაფიქრდი: ადამიანს წყნარად დაელაპარაკები, სასურველ ხმას  
გაიღონებ! ღმერთო, რა მოხდება, დაუდგან ენდის ტელეფონი!  
გემუდარები!

**ენდი** – რად დამიკიდე ფურმილი? აი, რითა სჯობს მიმოწერა,  
გინდა თუ არა, წაიკითხავ!

**მელისა** – წარმოიდგინე, წაუკითხავი წერილების დახევაც შეიძლება.  
იხილე ნაგლეჯები! ანულა ატკისონს გაუგზავნე!

**ენდი** – ეს რაღა ახალი ამბავია?

**მელისა** – რა და, როგორც მითხრეს, სარა ლორქნის კოლეჯის  
სტუდენტს ანულა ატკისონს გრძელ-გრძელ წერილებს  
უგზავნი.

**ენდი** – ღმერთო, შენ მიშველე! ანულას იმიტომ ვუგზავნი,  
რომ არ შემიღია წერილები არ ვწერო. რამდენჯერ მითქვამს  
შენთვის, კალაბს ხელს როგორც მივკიდებ, სულ სხვა ადამიანი  
ვხვდები. რა ვქნა, მიყვარს ბარათების, თხზულებების, მისალოცი  
გზავნილების წერა!!! განსაკუთრებული სიყვარულით შენ ვიწერ

წერილებს. და გიხსნი ჩემს გულს, სულს, ფიქრებს. შემოძლია, საბეჭდ მანქანაზე ვარიხინო, მაგრამ ხელით წერა მირჩევნია. ტელეფონით ლაპარაკი კი... დაკიდებ ყურმილს და დაგავიწყდება. მართალია, წერილი ქაღალდზე იწერება და ქაღალდის დახვაც შეიძლება. მაგას რა უნდა! მაგრამ, დაგწერე და გული გადაგიშალე, ტვინი დავამშვიდე, შვებით ამოვისუნთქე. ძველი წერილი კი... ეს ხომ საოცრებაა! გადაიკითხავ და დროს აბრუნებს, გაგახსენებს ყოველ წვრილმანს, თითქოს ახლახანს ელაპარაკე საყვარელ ადამიანს.

**მელისა** — მიშველეთ! დამიხსენით! წამიყვანეთ აქედან!

**ენდი** — გიფიქრია, რა ზიანი მოგვაყენეს მშობლებმა? ჩვენთვის ვის ეცალა? მიგვაგდებდნენ მარად გაღიზიანებულ აღმზრდელებს და მორჩა. ან შეგვერიდნენ იდიოტურ კერძო სკოლებში, სადაც ასეთივე იდიოტურ წესებსა და აზრებს შთაგვაგონებდნენ; განსაკუთრებით, სექსზე. ამას რომ ვიხსენებ, თმები ყალყზე მიღება. ასე მგონია, ბაკშვიბა სადღაც არარეალურ სამყაროში გავატარეთ. მიკვირს, რომ წერა, საკუთარი აზრებისა და გრძნობების გამოხატვა ვისწავლეთ. ეს თუ გადაგვარჩენს. ამიტომ, თუ შენ არ გინდა მოგწერო, სხვას ვინმეს მივწერ აუცილებლად. მოდი, მივაფურთხოთ ეშმაკს. შევხვდეთ და შაბათ-კვირა ერთად გავატაროთ. გამოიქეცი შენი ციხიდან. ნომერს ისევ „დანკანში“ დაგიჯავშნი. ვეცდები, ამჯერად არ გაგიცრუო იმედი.

**მელისა** — ენდი, ძვირფასო, აბა გამოიცანი რა დამემართა? შენს წერილს ვკითხულობდი, მუამდე რომ მივედი, ტელეფონის ზარი გაისმა. ჰარვარდიდან მირეკავდნენ, არის ერთი ჯეპ დაფილდი. შაბათ-კვირა ერთად გავატაროთ. კარგი-მეტქი. გეფიცები, დავთანხმდი, ვიდრე შენს წერილს ბოლომდე ჩავიკითხავდი. მაპატიე, ჩემო კარგო: ამჯერად ტელეფონმა გაიძარჯვა.

**ენდი** — ძვირფასო მელისა, არა მგონია, ასე დამთავრდეს ჩვენი ურთიერთობა. ვიმედოვნებ, კვლავ შევხვდებით. სიყვარულით. ენდი.

## მეორე მოძგვლება

მელისა — ეი, ხედავ სადა ვარ? ეს ფლორენცია!

ენდი — მანდ რას აკეთებ?

მელისა — ვწერ, ვხატავ და ასე შემდეგ.

ენდი — შემოქმედებით წარმატებებს გისურვებ. რაც შეეხება  
ა. შ.-ს უფრთხილდი!

\* \* \*

ენდი — შობას გილოცავ!

მელისა — შობას გილოცავ.

ენდი — გილოცავ დაბადების დღეს. დედამ მომწერა, პირუჯიაში  
პრემია აგილია. დიდი ზემით გადასცესო. მომილოცავს.

მელისა — სკლორისა და კეის პრემიას გილოცავ, თუმცა, აზრზე  
არა ვარ, უვნი ვინ არიან.

ენდი — გილოცავ შობას. სალამი ზურმუხტ-ქალაქიდან!

მელისა — ჩემი სალამი და მოლოცვა კოსტა დელ სოლიდან!

ენდი — გილოცავ დაბადების დღეს. სტირლინგის ბიბლიოთეკიდან  
გესალმები.

მელისა — წარჩინებულის დიპლომი მიიღე? ფრიადოსანი გახდი?  
რა საშინელებაა!

ენდი — ასწიეთ ღუზა! ცალი თვალით მაინც შეგახედა, რასა  
ჰგავს შენი ფრიადოსანი! ჰენრი ფონდა თუ გინახავს,  
„მისტერ რობერტში“? ამ ბარათს ფონდას პერსონაჟივით  
გიგანტური ავამზიდის გემბაზე ვწერ. ხმელთაშუა ზღვაში  
ვარ. ერთდროულად ოდისევის, ლორდი ნილსონი და ნახიმოვი  
მგონია თავი. ზარბაზნები დატენილია, თვითმფრინავები  
სტარტზეა. რადარები ზეცას აკონტროლებენ. ამას ყველაფერს  
ვაკეთებთ მსოლოდ იმიტომ, რომ კომუნიზმისაგან დაგიცვათ. არ  
დაგავიწყდეს, პირველივე შეხვედრის დროს სამხედრო წესით  
მომესალმე.

მელისა — ვიცოდი, ფლოტს რომ აირჩევდი. სხვებს რატომ უნდა  
ჩამორჩევ?

ენდი — იანვარში იტალიის სამხრეთს მოვადგებით. მოდი,  
შევხვდეთ!

მელისა — მაპატიე, მაგ დროს შვეიცარიაში ვიქწები.

ენდი — გაზაფხულს ხმელთაშუა ზღვაში ვიმსახურებთ. 3, 4  
და 5 მარტს ნეაპოლში მივდივართ. ხელის დასაქწევად მაინც  
ჩამოდი.

**მელისა** — მარტში დედას უნდა შევხვდე პარიზში. ეგებ, სენას პარიზამდე ამოჰყვეთ.

**ენდი** — ქრისტეშობას გილოცავ. მანილიდან გწერ. ადმირალის შტაბში გადამიყვანეს.

**მელისა** — ახალ წელს გილოცავ. კოლორადო.

**ენდი** — კოლორადოში რაღას აკეთებ?

**მელისა** — თხილამურით ვსრიალებ.

**ენდი** — სალამი ჰონ-კონგიდან.

**მელისა** — მოკიზვა სან-ფრანცისკოდან.

**ენდი** — კონიჩივა, გოზანმასი, იაპონია.

**მელისა** — ეი, ენდი! გახსოვს, ყმაწვილობის უამს ჩიტი რომ მყავდა?

ისევ მომიტანა ამბავი: ბარში იაპონელი გოგო მოგიჩანგლავს.

ტყუილია-თქო, მომწერე.

\* \* \*

დედამ შემატყობინა, თურმე იაპონელ გეიშასთან ცხოვრობ. მართალია? თქვენები გიჟდებიან.

\* \* \*

ჩემი წერილი მიიღე? ეტყობა, შორსა ხარ: მთელი საათი ციფრები უნდა ვწერო, ეს რა მისამართია? ხომ არ მეშლება? წერილები მოგდის? მაგ იაპონელ ქალთან სერიოზული რომანი გაგიჩაღებია. მომწერე რა, ცოტა რამ თქვენზე?

**ენდი** — შობა-ახალ წელს გილოცავ! ალბათ, მოგეწონება ეს ბარათი, მცხრამეტე საუკუნის მხატვრის ხიროშიგას ნახატია: „შეყვარებულები ხიდზე წვიმაში“ სიყვარულით. ენდი —

**მელისა** — ეი, შენ, ბებერო ძალო! ცალი ფეხი სამარეში გიდგას და ეხლა გამომიჩინე გემოვნების სინატიფე და დახვეწილობა? რა ქარაგმები დამიწევ? დაწვრილებით მომწერე, რა გაქვს მხედველობაში? სიტყვა რაზე გადამიკარი?

\* \* \*

შენი და გეიშას რომანის შესახებ ჩემს ფინქონალიტიკოსს ვუამბე. ვეჭვიანობ-მეთქი. იცი, რა მიპასუხა? თურმე ჩვენი, ამერიკელი კაცები, ვიდრე ბედს თავის სათაყვანებელ ქერა ქალებს დაუკავშირებენ, აღმოსავლეურ პარტიორებს ელტვიან. მაგალითი გნებავთ? ინგლეთ: ფენიმორ კუპერი, ფოლენერი, ჯონ ფონდას ფილმები. თუ ასეა, მომწერე. ვგიჟდები, ისე მაინტერესებს შენი აზრი.

\* \* \*

ბოლო წერილი თუ მიიღე? უნებურად რაიმე ხომ არ გაწყენინე? ჩემს ამბეს თუ იკითხავ, ახალი რომანი გავაჩაღე... დარვინი ჰქეია... უოლ სტრიტზე მუშაობს. ღრმად არის დარწმუნებული, რომ ამქვეყნად მხოლოდ ყველაზე გამძლენი და ამტანები იმარჯვებენ. წერილს ვეღი, როგორც მგელი.

\* \* \*

დედაშენმა დედაჩემს უთხრა, მაგ ქალის შერთვა და ჩამოყვანა გადაგიწყვეტია. ო, ღმერთო! მომწერე, ტყუილია-თქო!!

\* \* \*

მეც გადავწყვიტე: დარვინს გავყვები ცოლად. იმან ჯერ არ იცის, რა სიხარულიც ელის, მაგრამ არა უშავს, მალე შეიტყობს. ბედნიერებას ხომ არ მისურვებდი?

**ენდი** — ვწუხვარ, ვერ შევძლებ თქვენს ქორწილზე ჩამოსვლას, უფროსი ლეიტენანტი ენდრიუ ლედ მესამე.

**მელისა** — ძვირფასო ენდი — მივიღე ულამაზესი იაპონური ლარნაკი. გმადღლობთ, როცა ჩამოხვალ შიგ ლამაზ ყვავილებს ჩავაწყობ, თუ სტუმრად გვეწვევი და ყვავილებს მომიტან. ეგებ შენი გეიშაც მომიყვანო: დავსხდეთ სასტუმრო ოთახში და „რასემონზე“ ან იაპონურ პოეზიაზე ვისაუბროთ. ვიცი, დარვინი მოგეწონება. როცა იცინის, ბურატინოს ჰერავს. ჩვენი სახლი ქალაქვარეთ, სადგურთან ახლოს დგას. საკუთარი სახელოსნოც აქვს. მომწერ თუ არა თქვენი დიდი სიყვარულის ამბავს? დედამ მითხრა, შენს მშობლებს ამაზე კრინტი არ დაუძრავთ.

**ენდი** — ძვირფასო მელისა, მინდა იცოდე — შენი სიახლოვეც და ყველაფერი უკლებლივ, ყველაფერი, რაც კი თავს გარდამხდა, ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. იყო-მეოქი, არ წამომცდენია, დიახ, იყო, რადგან ეს „ყველაფერი“ დამთავრდა. ვბრუნდები! შინ ვბრუნდები! და მოდი ამაზე მეტს ნულარ ვილაპარაკებთ.

\* \* \*

**მელისა** — მე და ჩემი ქმარი, მისტერ დარვინ კობი, საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ შეგვებინა მზეთუნახავი ფრანჩესკა.

**ენდი** — გილოცავ ქალიშვილის დაბადებას.

**მელისა** — პარვარდის უნივერსიტეტის ოურიდიული ფაკულტეტი!  
ო, ენდი, დიდი კაცი უნდა გახდე?

**ენდი** — როგორც გახსოვს, წერა ყოველთვის მიყვარდა. კანონებსაც  
წერა უნდა.

**მელისა** — მართალი ხარ. ვგრძნობ, ნელ-ნელა ძალიან დიდი კაცი  
გახდები. შემოგვიარე როგორმე. ჩვენი სახლი ნიუ-იორკის  
გზაზეა. რაო, განა ყველა გზა ნიუ-იორკში არ მიდის?

**ენდი** — შენს სტემფორდულ გამოფენაზე „ნიუ-იორკ-ტაიმსში“  
რეცენზია წავიკითხე. რა უყავი, კრიტიკოსი ეპრე როგორ  
გააბრაზე?

**მელისა** — ფეხებზე მკიდია ეგ შენი „ნიუ-იორკ-ტაიმსი“. სხვა  
აზრიც არსებობს. გიგზავნი ამონაჭრებს ჟურნალ-გაზეთებიდან.  
სედავ, სხვები მიიჩნევენ, რომ ჩემი ნამუშევრები საინტერესოა,  
უფრო სწორად, საინტერესო იქნებოდა, ყურადღების მოკრება  
რომ შემძლოს.

**ენდი** — მაპატიე, თუ ლმერთი გწამს. მჯერა, რომ ნიჭიერი ხარ. ეს  
მე ყოველთვის მჯეროდა!

\* \* \*

**მელისა** — ოურიდიულ ჟურნალში ნაშრომები გამოგიქვეყნებია. არ  
შეგიძლია, ქორწინების კანონი გადასინჯო?

**ენდი** — მომწერე, ხომ არაფერი გიჭირს?

**მელისა** — არა, ყველანი ჯანმრთელად ვართ.

**ენდი** — გილოცავ ქალიშვილის დაბადებას.

**მელისა** — ესეც მეორე მზეთუნახავი!

**ენდი** — ვაშინგტონიდან მოგესალმები. უმაღლეს სასამართლოში  
ვმუშაობ. ეს არც ისე სასიხარულოა, როგორც შეიძლება, ვინმეს  
ეგონოს.

**მელისა** — ჩემო კარგო ენდი! როგორ მეწყინა მამაშენის გარდაცვალება!  
მნელია დაკარგო ასეთი საყვარელი მამა და უფროსი მეგობარი.  
ვიცი, მე არ ვუყვარდი, შენს ღირსად არ მოვლიდა. ალბათ,  
მართალიც იყო. მამაშენი წესიერი, პატიოსანი, კეთილი კაცი იყო.  
ზურმუხტ-ქალაქის იმ უმშვენიერეს უაშს, ყოველთვის, როცა შინ  
მიმიატიქებდი ხოლმე, თავს ბედნიერად და მშვიდად ვგრძნობდი.  
თქვენს სახლში ხომ ყოველთვის უაღრესი სიმყდროვე მეფობდა.  
სამწუხაროა, რომ მე არა მყავდა შენნაირი მამა. გულწრფელად  
ვიზიარებ შენს მწუხარებას. სიყვარულით. მელისა.

**ენდი** — ჩემო მელისა — წერილისა და თანაგრძნობისათვის გმადლობ.

მე მართლა ძალიან მიყვარდა მამა. ის ჭეშმარიტად კეთილშობილი კაცი იყო. აღარა მაყაეს მამაჩემი, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება, რასაც მასწავლიდა: ვიყო ქვეყნისა და ოჯახის ერთგული და არასოდეს ვუდალატო საკუთარ თავს. ხშირად მეუბნებოდა: ვისაც ბედმა გაულიბა და პრივილეგირებულ პირობებში ცხოვრობს, პასუხისმგებლობაც განსაკუთრებული ეკისრება. სწორედ ამიტომ დაგბრუნდი იაპონიიდან, იურისპრუდენციასაც ამიტომ ვსწავლობ. ოდესმე პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მხოლოდ ამიტომ ჩავებმები. კიდევ ერთხელ გმადლობ წერილისათვის. სიყვარულით. ენდი —

**მელისა** — ქრისტეშობა მომილოცავს. მე და ჩემს შვილებს ეს სურათი დედამ გადავვიღო. ხედავ, როგორ დავდედაკაცდი? თმებზე ნუ შემხედავ, ჯერ ისევ ვეძებ შესაფერ ვარცხნილობას. აბა, თუ მიხდები, ფოტოზე ვინ გვაკლია!

**ენდი** — საშობაო ბარათისათვის გმადლობ. ყველაფერი რიგზე?

**მელისა** — რენდობან გითვლი სალამს. ვიდრე შინ დაგბრუნდები, ვაშინგტონში მინდა გავჩერდეთ.

**ენდი** — როცა ჩამოხვალ, შემატყობინე. ჯეინს გაგაცნობ.

**მელისა** — ეგ ვინდაა?

**ენდი** — საოცარ გოგონას შევხვდი. ჯეინი ჰქვია.

**მელისა** — ვწუხვარ, ვერ შევძლებთ თქვენს ქორწილზე ჩამოსვლას. მელისა გარდნერ კობი.

**ენდი** — ძვირფასო მელისა, ცოლმა ადგილი დამიტოვა და გწერ. საქორწილო საჩუქრისათვის გმადლობ (აბა, გამოიცანი, ვინ ჩამისაფრდა ზურგსუკან და მითვალთვალებს, სასიყვარულო ბარათს ხომ არ წერსი?) ჰო, დიდი მადლობა საჩუქრისათვის, რომელიც არ მახსოვრს. აქ მცარნახობენ, ხელით მოხატული ლარნაკი ყოფილა. ვიმედოვნებ, თავად მოხატე. ვიმედოვნებ, ჩვენსავით ყველაფერი წესრიგში გაქვს. შემოდგომაზე გადავდივართ ნიუ-იორკში, ძალიან ცნობილ და მსხვილ იურიდიულ ფირმაში ვიწყევბ მუშაობას. მომავალში ვფიქრობ, პოლიტიკას შევეჭიდო. ეს ძელი საქმე კი, სჯობს, მშობლიურ შტატში დავიწყო. როგორც კი მოვეწყობით, ვახშმად გვეწვიე, არ დამიწყო, ნიუ-იორკში არ ჩამოვდივარო. ყველა გზა ნიუ-იორკში მიდის! ასე მომწერა ერთხელ ჩემმა ძევლმა მეგობარმა.

\* \* \*

ქრისტეშობას გილოცავ. სადა ზარ?!

\* \* \*

დაბადების დღეს გილოცავ! ხედავ? დაოჯახებულ კაცს მაინც  
კარგად ახსოვს შენი დაბადების თარიღი!

\* \* \*

დედამ მომწერა, ავად არისო. მალე გამოჯანმრთელდი. ვფიქრობ,  
სერიოზული არაფერია; და ალბათ, ეხლა უკეთესად გრძნობ თავს.

\* \* \*

მართალია, აღარ მახსოვს, რას ნიშავს წითელი ვარდების  
თაიგული, მაგრამ გიგზავნი. ვიძედოვნებ, ოდნავ მაინც გამხნევდები.

\* \* \*

**მელისა** — ძვირფასო ენდი — არაფერი მიშავს. ნუ დელავ! მივიღე  
შენი ვარდები. ძალიან კარგად ვარ. სიმართლე თუ გინდა იცოდე,  
ძალიან ცუდად ვარ! ზრდილობისათვის აღარ მოგწერ, კარგად  
ვარ, ყველაფერი რიგზეა-მეტქი. ამას მეტს აღარ ვიზამ. ამჟამად  
ბოსტონის ახლოს საქმაოდ ფეშენებელურ საავადმყოფოში ვარ.  
ალკოჰოლიზმს ვებრძვი. ეს სიამოვნება შხოლოდ მდიდრებისათვის  
განკუთვნილ ამ ბრწყინვალე დაწესებულებაში დღეში 155  
დოლარი ღირს. ჩემი დიაგნოზია: ფორთოხლისა და ლიმონათის  
განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სმა ბავშვობაში. ამას თან  
ერთვის დეპრესიები, რომლისეგანაც, დედაჩემს თუ დავუკერებთ,  
თავსმდგომნი და გარემომცველი უფრო იტანჯებიან. შედეგი:  
ბავშვებზე ზრუნვა ჩემს ყოფილ ქმარს დააკისრეს, მე კი  
ტრანკვილიზატორებით მჭყიავენ. პო, კიდევ ჯგუფურ და  
ინდივიდუალურ ფსიქოთერაპიულ სესიებს მიტარებენ. ისეთი  
მოწყენილობაა, ლამის გავგიშდი!

**ენდი** — ბევრი გეხატა, არ გიცდა? მუშაობა აუცილებლად  
გიშველის.

\* \* \*

ჩემი ბოლო წერილი მიიღე? შენ ხომ ნიჭიერი გოგო ზარ,  
რატომ აღარ ზატავ?

**მელისა** – მივიღე შენი ბოლო წერილი. ვხატავ, ვხატავ და მგონი, მშველის. ზრუნვისათვის გმადლობ. ვცდილობ, ჩემი ენერგია უქმად არ ვაფრქვიო. ინტელექტსა და მსოფლმხედველობას ვიფართოვებ და ა. შ. და ა. შ. ვიმედოვნებ, შენ და... ერთი წუთი მაცალე, უბის წიგნაკს გადავშლი... ჰო, შენ და ჯეინი ტკბილად ცხოვრობთ.

**ენდი** – ქრისტეშობას გილოცავენ ენდი და ჯეი ლედები, აგრეთვე ენდი მეოთხე და ძაღლი...

**მელისა** – პორგი

**ენდი** – სწორია.

**მელისა** – ქრისტეშობას გილოცავ. სან-ანტონიოდან მოგესალმები. დასავლეთ სანაპიროზე გადმოვბარგდი. ჩემი საწოლი ოთახის ფანჯრიდან საოცარი ხედი ჩანს. საწოლშიც საოცარი ვინმე მიწევს.

**ენდი** – ლედების ოჯახი შობას გილოცავს. დედამ მომწერა, გათხოვილხარ.

**მელისა** – გავთხოვდი, გავთხოვდი, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა „ბედნიერება“.

**ენდი** – ფირმა „დონერი, როდსი და მაკლისტერი“ აცხადებს, რომ მისტერ ენდრიუ ლედ მესამე მათი სრულუფლებიანი პარტნიორია.

**მელისა** – ძვირფასო ენდი, იმასთან დაკავშირებით, იურისპრუდენციაში ძალიან უფროსი რომ გამხდარხარ, გოგოების დაბრუნებაში ვერ დამეხმარები? დარვინი შვილებს ახლოს არ მაკარებს. იმ იშვიათ შემთხვევაში კი, როცა ნახვის ნებას მრთავს, ისე იქცევა, თითქოს სიფილისი ან კეთრი მჭირდებს. რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი დედა ვიყავი, მაგრამ ჯერ ხომ სიკვდილს არ ვაპირებ?!

**ენდი** – გთხოვ, ერთმანეთში ნუ აურევ ჩენს მეგობრობას და თქვენს ოჯახურ კონფლიქტებს. ადვოკატი ვარ და ობიექტური უნდა ვიყო.

**მელისა** – ეგვიპტე ხომ გაგიგონია, ცივილიზაციის აკვანი რომ იყო? ეგვიპტეში ვარ და ვცდილობ, ცხოვრება თავიდან დავიწყო.

\* \* \*

**ენდი** – ქრისტეშობას გილოცავთ, ენდი, ჯეინი, დრიუ, ნიკოლასი და ტედი.

აგრეთვე, პორგი.

**მელისა** — ლოს ანულესში მინდა გადავბარგდე. იქ ხომ არავის  
იცნობ?

**ენდი** — ცხოვრება ქალაქარეთ სკობს. სიწყნარეა.

**მელისა** — ნამდვილი ბურჟუა გამხდარხარ.

\* \* \*

დედამ მომწერა, რაღაც რესპუბლიკელთა არჩევნებში გაგიმარჯვია. სულ გამიცრუე იმედები. პოლიტიკოსებს არ ვეძღური, პირიქით — მიყვარს, მაგრამ საწოლში დემოკრატები მირჩევნა!

**ენდი** — მე ლიბერალ-რესპუბლიკელი გახლავართ. ამას გარდა, ქალთა უფლებებს ვიცავ. ზემოთ ჩამოთვლილს არ გაითვალისწინებთ?

**მელისა** — ვნახოთ, როგორ აჭიკჭიკდები, სენატში რომ აგირჩევენ.

\* \* \*

„მელისა გარდნერის ფერწერა და ჩანახატები. ჰასტინგსის გალერეა. ბროდვეი... სახლი 422. 18 მარტიდან 30 აპრილამდე. გამოფენის გახსნისადმი მიძღვნილი დარბაზობა გაიმართება 20 მარტს საღამოს ექვსიდან რვა საათამდე“. შეამჩნიე? ისევ ქალიშვილობის გვარს დავუბრუნდი.

**ენდი** — მოსაწვევი ბარათი მივიღე. წარმატებას გისურვებ. პოსტ სკრიპტუმ. ძალიან მინდა ერთი ნახატი შევიძინო. სასტუმრო ოთახის კედლებს გამოვაცოცხლებ. მომწერე, რა დამიჯდება?

**მელისა** — გამოფენაზე მოხვალ და ნახავ.

**ენდი** — მაპატიე. სასწრაფო საქმე გამომიჩნდა და ველარ ჩამოვედი.

**მელისა** — რატომ სტუი? გამოტყდი, შემეშინდა-თქო.

**ენდი** — მართალი ხარ.

**მელისა** — რა იცი, ეგებ სწორად მოიქეცი. როგორც კრიტიკოსები წერენ: ეხლა მე ანარქიზმის პრიორი დამიდგა და უფსკრულის პირას ვცეკვავ. ჩემგან თავი შორს გეჭიროს, თორემ ხომ იცი, შენი გადარეული მეგობრის ამბავი, შესაძლოა, იმ უფსკრულში თან გადაგიყოლო.

**ენდი** — ძვირფასო მეგობარო! ჯეინმა გამახსენა, საშობაო მოსალოცების გამოგზავნის ღრო დამდგარა. აი, ჩემი მოლოცვაც: მივყვეთ წესისა და რიგის მიხედვით. ჯეინი: ჩემი მეუღლე უკლის ქალაქარეთა სახლს და სამ შვილს. ამას გარდა ახერხებს (როგორ, კურ ძიუბეზი) კვირაში სამჯერ ელმატარებლით ავიდეს

ქალაქში, სადაც თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მუშაობს. უფრო მეტიც, ნატიუ ხელოვნებათა ფაკულტეტზეც სწავლობს, დაუსწრებლად. ჩვენ, ყველანი, ვამაყობთ, ასეთი ჯეინი რომ გვყავს. ჩვენ, აგრეთვე, ვამაყობთ ჩვენი ვაჟიშვილებით. გასულ შემოდგომაზე დრიუ ექსტერის ფეხბურთის გუნდის კაპიტანი იყო. წელს კი დიდი იმედი აქვს, მმაპაპასავით სწავლა იელის უნივერსიტეტში განავრმოს. ნიკოლასი სკოლის დამამთავრებელ კლასშია და ისეა გატაცებული ელექტრონიკით, რამდენიმე სოლიდურმა ფირმამ უკვე შესთავაზა თანამშრომლობა. ჩვენ ძალიან ვამაყობთ ნიკეს მიღწევებით: ეს მისი შემოსავლის წყაროც არის და თანაც შესძლებს ჰარვარდში სწავლის ქირის გადახდას. ჩვენი უმცროსი ვაჟი ტედი სასკოლო ორკესტრში კლარნეტზე უკრავს. მოგეხსენებათ, მეც და ჯეინსაც ყურზე დათვმა დაგვაბიჯა; ასე რომ, ნაბოლარას მუსიკალური წარმატება მშობლებისათვის გამაოგნებელია. ამ ცოტა ხნის წინათ, ტბაზე რომ გვქონდა, ის აგარაკი გამოვისყიდე ჩემი ძმებისაგან. ოჯახმა ერთხმად გადასწყვიტა, მთელი თავისუფალი დრო ამ აგარაკს შესწიროს. ვიმუშავებთ ბაღში, ბოსტანში. როგორც ბიჭები ამბობენ: „განვიმუხტებით“. ამასობაში მე და ჯეინი არა უშავს რა ჩოგბურთულები გავხდით და მზად ვართ, ნებისმიერ მეტოქეს შეერეანოთ. თუ ამ ზაფხულს რომელიმე თქვენგანი არიროდა გას მახლობლად აპირებს დაისვენოს, აუცილებლად დაგვირეკეთ და გვეწვით. ახალმოსახლეთათვის საჩუქრების მოტანა ნებადართულია. მე, ძველებურად, კანონმდებლობაში ვმუშაობ და საკმაო წარმატებითაც. წელს რამოდენიმე საჭირო და სასარგებლო კანონი გავათრიეთ. ყოველთვის მინდოდა ქვეწისა და საზოგადოებისათვის რაიმე სარგებლობა მომეტანა და მიხარია, ამას რომ მივაღწი. ზოგიერთ ჩემს მეგობარს მოსწონს, პოლიტიკოსის როულ გზას რომ დავადექი. მათ საყურადღებოდ უნდა განვაცხადო: კანონმდებლობაში საკმაოდ ბევრი და მნელად გადასაჭრელი პრობლემაა. ჯეინი და ყმაწვილები უერთდებიან ჩემს მილოცვას და ყოველივე საუკეთესოს გისურვებენ.

**მელისა** – ძვირფასო ენდი, თუ ერთხელ კიდევ მივიღებ საბეჭდი მანქანით გამრავლებულ მოლოცვას, რომელიც ქვეშევრდომებისადმი ბანანის რესპუბლიკის დირექტორის მიმართვას უფრო მაგონებს, საგანგებოდ ჩამოვალ თქვენს ტბისპირა მყუდრო აგარაკზე და როცა ყველა სასადილოდ

გამოიჭიმება, თითოეულს, უკლებლივ, შიგ წენიანში ჩავუფსამ! **ენდი** — მაპატიე! რასაკვირველია, სულელური მოლოცვა იყო. ძალიან გთხოვ, მაპატიე. ამ ბოლო დროს მისალოც ბარათებს ჯეინს ვაწერინებ ხოლმე, რადგან მე არ მეხერხება. წერილების წერა მიყვარს... კარგადაც ვწერ. და არც უნდა გადავსულიყავი ასეთ მოსალოც გზავნილებზე. მე რომ დამეწერა, აი, რას მოგწერდი: ჩვენი ოჯახის თითოეული წევრი, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს დამკიდრდეს ამ საცხოვრებლათ ურთულეს ქვეყანაზე. მე და ჯეინს გაქონდა რაღაც პრობლემები, მაგრამ ახლა, მგონი, ყველაფერი რიგზეა. ბიჭებიც კარგად არიან. ნიკოლასმა ნარკოტიკებს თავი დააღწია. ტედი ლოგოპედთან დადის, ენა ებმება. პორგიძ შენი ჭირი წაიღო.. ისე მენატრება, ახალი ძალი ვერ ამიყვანია. თუ ო ჰარა გადადგება, სენატში კენჭს ვიყრი. რას მირჩევ? შენი აზრი მაინტერესებს. თუ ამ წერილზე მიპასუხებ, ოფისში მოწერე ჯეინი ყოველ წვრილმანს ტრაგედიის დონეზე განიცდის. განსაკუთრებით შენი ბოლო წერილის შემდეგ.

**მელისა** — სენატშია შენი ადგილი, აბა რა! ეჭვიც არ მეპარება სხვებს ხომ არ ჩამორჩები?! იყარე, იყარე კენჭი, თუ გინდა! შენ ქველმოქმედების მაგალითი და სამართლიანობის ნიმუში იქნები ამ ღვთისაგან მიტოვებულ დედამიწაზე. ნუთუ ღმერთმა მხოლოდ მე დამივიწყა?

**ენდი** — სერ ენდრიუ ლედ მესამე დიდ მადლობას გიცხადებთ წინასაარჩევნო კამპანიაში გულუხვიფინანსურიმხარდაჭერისათვის. რა ამბავა, მელისა, ეს რამდენი გამომიგზავნე? რატომ, რატომ?

**მელისა** — ჩემი სალამი გამოსაფხიზლებლიდან! ყველაფერი ალკოჰოლის ბრალია. ექიმმა მითხოა, შთამომავლობითიაო. თურმე, მხოლოდ დედატემი კი არა, მამაჩემიც ამ სენით ყოფილა შეპყრობილი. თუ დამიჯერებ, ვიბრძი, ყოველ ღონეს ვხმარობ, გამოვსწორდე. დარვინი კი ღორია, ღორი! გოგოებს თითქმის აღარ მაჩვენებს. პრეზიდენტი რომ გახდები, ძალიან გთხოვ, შემოიღე კანონი შურისმაძიებელი ქმრების წინააღმდეგ; გადასახლება მიუსაჯე, სადღაც შორს, რაც შეიძლება შორს. ამინ.

**ენდი** — მიიღეთ ჩვენი საუკეთესო მოლოცვები. სენატორი ენდრიუ ლედ მესამე და მისი ოჯახი.

**მელისა** — არა უშავს რა მოლოცვას! ყოჩაღ! სულ ეს არის?

**ენდი** — მაპატიე. ყველაფერში ჩემი მდიგანი ქალები არიან დამნაშავე. მისალოცი ბარათები აურიეს. ქრისტეშობას გილოცავ, ჩემო კარგო მეგობარო. როგორა ხარ? ხომ არაფერია ისეთი, რაც უნდა ვიცოდე?

**მელისა** — ცხოვრების გასამრავალფეროვნებლად ნიუ-იორკში ვცხოვრობ, მხოლობით რიცხვში. მბაფრი კითხვანი არ მასვენებენ: ვინა ვარ? რატომ ვცხოვრობ? მიწას რატომ ვამძიმებ? ან ეს რა სამყაროა, რომელშიც ვცხოვრობ? როგორ მოხდა, რომ შენ მშობელი ხალხის ერთგული გახდი, მე კი — გალოთებული, ავხორცი, თანაც ცინიკოსი ბებერი ჩათლახი და ბოზი? გამაგებინე, მეგობარო, რა ხდება?

**ენდი** — უსამართლო ნუ ხარ. ხელოვნებას მიხედე.

**მელისა** — ერთხელ კიდევ ვცდი.

\* \* \*

**ენდი** — ახალ წელს და ქრისტეს გაჩენას გილოცავ. სულითა და გულით. ენდი —

**მელისა** — ო, ღმერთო! „სულითა და გულით“. ენდი — ეს რაღას ნიშნავს ახლა? გახსოვს, რა გულის ფანცქალით ველოდით, როგორი წინადადება იწერებოდა ბარათის ბოლოს? „სიყვარულით“ ნიშნავდა, რომ რაღაც გაწყენინე: „მიყვარხარ“ — ნიშნავდა კუბოს კარამდე შენა ვარო. „სულითა და გულით“ — შესაძლოა, ერთიც ყოფილიყო და მეორეც. გახსოვს?

\* \* \*

**ენდი** — შობას გილოცავ. მე და მთელი ოჯახი ყოველივე სიკეთესა და ბედნიერებას გისურვებთ.

**მელისა** — ამას წინათ გნახე სატელევიზიო პროგრამა „60 წუთში“, თავზარდამცემად, საოცრად კარგად გამოიყურები. ლათინური ამერიკასადმი ჩენეს პასუხისმგებლობაზე რაღაცას ტიკტიკებდით. სიბოროტის ფესვები გახსოვდეს და არ დაივიწყო.

**ენდი** — ბარათისათვის გმხდლობ. სიბოროტის ფესვები რაღა?

**მელისა** — სიბოროტის ფესვები — ფულია. ფულით ყველაფერს იყიდი. ამას გეუბნები მე, ვინც ეს ამაოდ სცადა.

**ენდი** — ქრისტეშობას გილოცავ. შენი ენდი — როგორა ხარ?

**მელისა** — ამჯერად თიხას შევეჭიდე. გახსოვს, დაწყებით სკოლაში მისის მაკლერი თიხისგან ათასნაირ ფიგურებს გვათხუბნინებდა.

ძალლებსა და კატებს ვძერწავ, კენგურუც გავაკეთე. ფორთოხლის წვენით სავსე ჭიქაზე ხტება. გახსოვს? სულ იმ ნეტარ დღეს ვისხენებ; იმ მოგონებებით ვცდილობ, გავაღვიძო ჩემი დაჩლუნგებული გრძნობები, თორებ მათთან ერთად მოვკვდები. დამეხმარე. სოხოში სახელოსნო მაქვს. ეგებ, ერთად გვეკაშმა? ახალგაზრდობასაც გავიხსენებდით... რას იტყვით, სენატორო? პოსტ სკრიპტუმ, 82 წლის დედაჩემი ისევ გათხოვდა: მამაჩემის ძმას გაჰყავა... ასე რომ, გვარის გამოცვლა აღარ დასჭირდა. ბედის ბორბალმა წრე შემოხაზა.

**ენდი** — ამ წერილს აეროდრომისაკენ მიმავალ გზაზე მანქანაში ვწერ. პასუხი მისის ვოლპოლის სახელზე გამომიგზავნე, თორებ ჩემი თანამშრომლები ცველგან ცხვირს ყოფენ. მისის ვოლპოლი ჩემი მდივანია და ყველაფერი იცის.

**მელისა** — 28 იანვრიდან 26 თებერვლამდე გამოფენა მექნება. ძალიან მინდა, ჩემი ახალი ნამუშევრები ნახოთ.

**ენდი** — სამწუხაროა, მაგრამ ზუსტად მაგ დროს ფილიპინებზე ვიქები. ესეც რომ არ იყოს, დაიდი ხანია ბიჭებს შეეპირდი, თხილამურებზე სასრიალოდ წაგყვებით-მეთქი! წარმატებას გისურვებ.

\* \* \*

რაო, რას სოქვეს გამოფენაზე?

\* \* \*

მომწერე, გამოფენა როგორ შეფასდა?

\* \* \*

ძალიან გთხოვ, მიპასუხე.

**მელისა** — ჩავისვარე. გამოფენა არავის არ მოეწონა — არც ხალხს, არც კრიტიკოსებს, არც მე. მდინარის ერთი და იგივე წყალში ორჯერ ვერ შეხვალ; ამიტომ ხატვას თავს ვანებებ და ფოტოგრაფობას ვიწყებ. ეხლა ყველაფერზე უფრო რეალიზმი მაინტერესებს. თანამედროვე ცხოვრებას თვალი უნდა გაფესწორო, წამი უნდა შევაჩერო. ენდი, ოდესმე თუ შევხვდებით? იცოდე, შენს მეტი აღარავინა მყავს.

**ენდი** — მომავალ სამშაბათს, ცხრამეტში, ნიუ-იორკში საქველმოქმედო საღამოზე სიტყვა უნდა წარმოვთქვა. საზეიმო ვახშმის შემდეგ შემოვივლი.

**მელისა** — აუცილებლად შინ დაგხვდები.

**ენდი** — მგონი, გამახსენდა, წითელი ვარდები რასაც ნიშნავს.

**მელისა** — აღარაფერი მახსოვს, მხოლოდ ერთი რამ ვიცი:  
გუშინდელი საღამოს შემდეგ, შენი ნახვა უფრო მომინდა.

\* \* \*

საქველმოქმედო საღამოები აღარ ტარდება?

\* \* \*

მისის ვოლპოლ, საღა ზართ? გადაუგზავნეთ თუ არა წერილები აღრესატს?

**ენდი** — მაპატიე, პასუხი დაგიგვიანე. ნიუ-იორკიდან შინ დავბრუნდი და ოჯახური ურთიერთობანი მოვაწესრიგე. მერე ციურიბში ეკონომიურ კონფერენციაზე გავეტგზავრე. იქიდან ისევ ჯეინთან დავბრუნდი და შაბათ-კვირა ისევ ურთიერთობათა აღდგენას მოვანდომე. ჩემო შელისა, გემუდარები, სამსახურში ნუ მირეკავ. ყოველი საქალაქთაშორისო ზარი საგანგებო უერნალში აღირიცხება. ესეც რომ არ იყოს, ჰარვარდელი სტუდენტები ჩვენთან შრომით გამოცდილებას იძენენ და ყველაფერი ზომაზე მეტად აინტერესებთ. თურმე, საერთო საცხოვრებელში, სხვათა შორის, ჩემს საკითხსაც განიხილავგნ: სხატორ ლედს საყვარელი ჰყავსო. თუ ღმერთი გწამს, ნუღარ დამირეკავ. წერილში უფრო უკეთესად და ბევრსაც დამიწერ. ამ წერილს ბებიაჩემის ნაჩუქარი პარკერით გწერ. ამას წინათ ვიპოვნე სამკერდე ნიშნებით, მედლებითა და სხვა სუვენირებით სავსე უჯრაში ეგდო. არ წერდა. გავწმინდე და მთელი ეს დღე ვაშინგტონის მაღაზიაში გავატარე, მელანს დავეტბდი. იცი, რა სასიამოვნოა ამ კალმით წერა? ვვიცავ, უს ისე დაგწერ, უს არ დაემსგავსოს; ვიცი, წერილების წერა არ გიყვარს, მაგრამ რას იზამ?! მომავალ კვირაში ნიუ-იორკში მომიწევს ჩამოსვლა და შენთნ შეხვედრას მოვასწრებ. აეროპორტიდანვე დაგირეკავ.

**მელისა** — ჩემო საყვარელო, რა კარგია, რომ მოიცალე და მნახე კიდევ როდის ჩამოხვალ?

**ენდი** — ერთი კვირის შემდეგ...

**მელისა** — ოდესმე თუ წარმოიდგენდი, რომ ასე შევხმატებილდებოდით ... საწოლში?

**ენდი** — შენ თუ წარმოიდგენდი, რომ ჩვენს ასაკში ასეთი გადარეული საყვარლები აღმოვჩნდებოდით.

მელისა — აი, ნახევარმა საუკუნემაც ჩაიქროლა...  
ენდი — მოდი, ას წლამდე ვიცოცხლოთ...  
მელისა — ო, ღმერთო, კიდევ როდის გნახავ...  
ენდი — მალე! მალე!  
მელისა — სან-ფრანცისკოში გოგობის სანახავად მივემგზავრები.  
სადმე ვაშინგტონსა და სან-ფრანცისკოს შორის ხომ არ  
შევხვდეთ?  
ენდი — მისმინე, ერთად არ შეიძლება ვინგებ გვნახოს!  
მელისა — სადმე გადაკარგულში, საეჭვო ყოფაქცევის სასტუმროში  
დავიმალოთ!  
ენდი — სად, როდის? არ ვიცი...  
მელისა — მხოლოდ ერთადერთი ღამე მაჩუქე...  
ენდი — ღმერთო, რა დავაშავეთ?  
მელისა — მხოლოდ შენზე, ჩვენს შეხვედრაზე ვფიქრობ...  
ენდი — სამწუხაროდ, ცხოვრების წესს ვედარ შევიცვლი.  
მელისა — ცოლსგაყრილი პოლიტიკოსებიც ვიცით: როკფელერი,  
რეიგანი...  
ენდი — მერე, ჯეინი, ბავშვები? ვერ შევძლებ...  
მელისა — არ ვიცი, უშენოდ რა გამაძლებინებს. შენ თუ...  
ენდი — შეუძლებელს ნუ მთხოვ, თანაც ახლა, არჩენების წინ?  
მელისა — ენდი, ძვირფასო „დეილი ნიუს“ რეპორტიორმა დამირეკა.  
რა ვქნა?  
ენდი — არაფერი.  
მელისა — ალბათ, უკვე ნახე, რაც ჩვენზე „ნიუზიკში“ დასტამბეს.  
დედაჩემსაც რადიოთი რაღაც მოუსმენია. რა ვქნა? საცხოვრებლად  
სხვაგან გადავიდე? როგორ მოვიქცე?  
ენდი — კარგად.  
მელისა — დარვინისთვის დაურეგავთ და ინტერვიუ ჩაუწერიათ. იმ  
დამპალს უთქვამს, დიდი ხანია ხვდებიანო.  
ენდი — ნეტა მართალი იყოს?  
მელისა — ყოველდღე მირეკავენ! რა ვუპასუხო!?ენდი — უთხარი, ძველი ერთგული, კეთილი მეგობრები ვართ-თქო.  
მელისა — ერთგული — კი, ბატონო, კეთილი — კი, ბატონო,  
მაგრამ ძველი — არასოდეს!!  
ენდი — ნურაფერს ეტყვი, ყურმილი დაუკიდე.  
მელისა — მალე თუ გნახავ?  
ენდი — ცოტა ხნით თავი უნდა შევიკავოთ.

**მელისა** — არჩევნების შემდეგ?

**ენდი** — ჩატარდეს და ვნახოთ.

**მელისა** — ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან მენატრები!!!

**ენდი** — თავი უნდა შევიკავოთ.

**მელისა** — ენდი, სადა ხარ? მჭირდები! არ შემიძლია უშენოდ...

**ენდი** — მოვითმინოთ! მოვითმინოთ!

**მელისა** — სად დამეკარგე? სამ საათს გელოდე... დაგერება  
მაინც...

**ენდი** — გთხოვ, ნუ მირეკავ. იმ დღეს მისის ვოლპოლი შეუძლოდ  
იყო.

**მელისა** — მთელი თვეა არ მინახისარ.

**ენდი** — არჩევნები ცხვირწინაა.

**მელისა** — სულ ერთი წამით მაინც.

**ენდი** — არ გინდა ხელმეორედ ამირჩიონ?

**მელისა** — მჭირდები, ძალიან მჭირდები...

**ენდი** — არჩევნებია, არჩევნები, არჩევნები!

\* \* \*

**მელისა** — ენდი, რა ხდება. ნახევარი თვეა შენი ხმა არ  
გამიგონია!

\* \* \*

რას ნიშნავს შენი დადუმება?

\* \* \*

ყველაფერი დამთავრდა, ენდი?

\* \* \*

არჩევნებში გამარჯვებას გილოცავ. სიყვარულით. მელისა.

**ენდი** — მომავლ კვირა დღეს ჩამოვალ, კარგი?

**მელისა** — მადლობა ღმერთს!

**ენდი** — მელისა, უნდა მოგილაპარაკოთ...

**მელისა** — რაზე? არ მინდა! ლაპარაკი მეზიზღება.

**ენდი** — ჩემო ძვირფასო, გული მიკვდება, ჩვენს საუბარს, უფრო  
სწორად, სკანდალს რომ ვიხსენებ... მაგრამ ვიცი, მართალი ვარ.

რაიმე უნდა გადაგვეწყვიტა, სამწუხაროდ, არჩევის უფლებაც  
კი არა მაქვს. ღალატისათვის ალბათ შემიზიზღებ, მაგრამ

ჯეინისა და ბაგშვების მიტოვება არ შემიძლია. ესიც არ იყოს, მაქვს რაღაც ვალდებულება ჩემი ამომრჩევლების წინაშე; იმათ წინაშეც, ვინც სმა მომცა, მიუხედავად ყველაფრისა, გაზეთებში რაც დასტამბეს? ჩემო კარგო, სულ ერთია, ერთად ცხოვრებას ვერ შევძლებთ. დავ-ბერ-დით... და ამ ხანგრძლივმა არსებობამ, სიცოცხლე ვერ გამიმტებია, რომ დავარქება, ჩვენს წვალებას ისეთი მძიმე ტვირთი აპეიდა, სიმშვიდესა და სიამტკბილობა არ დაგვანებებს. ჩვენი ქორწინება დიდი-დიდი ერთ კვირას გაგრძელდება; მაგრამ სხინის გზა არსებობს. მიმოწერა! მისის ვოლოპლი ჩვენი მოკავშირეა. ჩვენი ურთიერთობა ერთი დღითაც არ შეწყდება. ვიმედოვნებ, მომწერ და ჩემს ბარათებსაც ბოლომდე წაიკითხავ.

\* \* \*

სადა ხარ? წერილებზე რატომ არ მპასუხობ?

\* \* \*

გირეკე! შინ მხოლოდ ავტო-მოპასუხეა, სადა ხარ? მიპასუხე, გთხოვ!

\* \* \*

ახალწელსა და ქრისტეშობას გილოცავ. სენატორი და მისის ლედი ოჯახით.

**მელისა** — ეი, ენდი ლედ. ნუთუ ეს შენა ხარ, 55 წლის ჯანმრთელი, წესიერად დავარცხნილი საუცხოოდ შეკერილ კოსტუმში გამოპრანჭული კაცი, ქალის ზურგსუკან რომ იმალება? სავარძელში ჩაბრძანებული ქალი, ალბათ, შენი მეუღლეა... რას მიუტყუპებია მუხლები? სიქალწულის დაკარგვისა ხომ არ ეშინია? ახალი ძაღლი გყავს? ესენი შენი მემკვიდრეები იქნებიან... ენდი, არ გადამრიო, შვილიშვილი შეგეძინათ? ღმერთო, შენ გადმოხედე! ჭეშმარიტად წმინდნთა ოჯახია! ახალ წელსა და ქრისტეშობას გილოცავ, სენატორო ლედ. ლამის წამოვდგე და სამხედრო წესით მოგესალმო. თქვენი მომაკვდავი მეგობარი...

**ენდი** — რას ნიშნავს „ოქვენი მომაკვდავი მეგობარი“

\* \* \*

აუცილებლად უნდა გნახო.

მიპასუხე, სადა ხარ? აუცილებლად უნდა გნახო.

\* \* \*

მიპასუხე, სადა ხარ? აუცილებლად უნდა გნახო, გესმის?

\* \* \*

პატივცემულო მისის გარდნერ. მელისა დამეკარგა. თუ შეიძლება,  
შემატყობინეთ, სად არის?

\* \* \*

ძვირფასო მელისა, დედაშემა მომწერა, ზურმუხტ ქალაქში  
დაბრუნებულ ხარ. მომავალ ზუთშაბათს ჩამოვფრინდები.

**მელისა** — არა! არა! არ ჩამოხვიდე! მთლად მოვეშვი. საშინლად  
გავსუქდი და დავმახინჯდი. თმებსაც აღარ ვიღებავ. ჩვენს  
ფერმაში ვცხოვრობ. ექიმი მომიჩინეს; თუ კარგად ვიცევი,  
დედას შაბათ-კვირას შინ მივყევარ. იმდენ წამალს მასმევნ, აქა  
ვარ თუ იმ ქვეწად, ვერ გამიგია. ხელები ისე მიკანკალებს,  
ფრჩხილებზე ლაქი ვერ წამისვამს. ჩემი შვილები ტელეფონითაც  
აღარ მელაპარაკებიან. ამბობენ, ნერვებს გვიშლისო. ეს რა  
დამემართა? როგორ გავიუბეღურე თავი?! სიცოცხლე აღარ  
მინდა. ხანდახან ვფიქრობ, ერთად რომ ვყოფილიყავით... არა,  
არა, ამ საქმიდან არაფერიც არ გამოვიდოდა... დარწმუნებული  
ვარ... ნუ ჩამოხვალ! გემუდარები, ენდი, არ ჩამოხვიდე!

\* \* \*

**ენდი** — ძვირფასო მისის გარდნერ! ოდესლაც მოგწერეთ პირველი  
ბარათი, თქვენი შვილის მელისას დბადების დღეზე მიპატიუების  
სამადლობელოდ. ეხლა გწერთ მისი გარდაცვალების გამო.  
მინდა, გითხრათ ყველაფერი, რაც ვერც დასაფლავებაზე და  
ვერც ქელებზე ვერ ვთქვი. როგორც იცით, მე და მელისა მთელი  
სიცოცხლის მანძილზე ვწერდით ერთმანეთს. ამას ვწერ და  
მგონია, მელისაც წაიკითხავს.

**მელისა** — ყოჩად ენდი, თავს არ დალატო!

**ენდი** — ძალიან რთული ურთიერთობა გვქონდა. ცხოვრების  
სხვადასხვაგვარი წესის მიუხედავად, ღრმად მწამს, რომ მაინც

ვაძლიდორებდით ერთმანეთს, მელისა ყოველთვის ამბობდა იმას, რასაც მე ვფიქრობდი, მაგრამ ხმამაღლა თქმისა მეშინოდა.

**მელისა** — როგორც იქნა გამოტყდა...

**ენდი** — მინდა დავიჯერო, რომ მეც ვაძლევდი მელისას რაღაცას... ასე მგონია, ვაწონასწორებდი.

**მელისა** — რაო, ვაწონასწორებდიო? პირველად მესმის. კარგი, ჩერმ ენდი, დავარქვათ ამას ვაწონასწორება.

**ენდი** — რაც გამიკეთებია, ან მსურდა გამეკეთებინა, მელისაზე ვამოწმებდი. და თუ უნბურად, ანდა განზრახ ვთვალთმაქცობდი, წამსვე ვგრძნობდი ზურგსუკან მის დამცინავ სუნთქვას. ეხლა, როცა მელისა აღარა გვყავს, არც ვიცი რა ვქნა, როგორ ვიცხოვრო?

**მელისა** — ნუ გეშინა, კარგად იცხოვრებ, ენდი!

**ენდი** — შესანიშნავი ცოლი მყავს, მშვენიერი შვილები, სამუშაოც მიყვარს... მაგრამ მელისას სივდილის შემდეგ აზრი დაეკარგა ყველას და ყველაფერს...

**მელისა** — კარგი ერთი, რაღაც არ მჯერა...

**ენდი** — ამქვეყნად ბევრს არ ჰყოლია ასეთი მეგობარი. მელისა ჩემთვის მეგობარზე მეტი იყო. ეხლალა ვწვდები, როგორ უსაშველოდ მიყვარდა. ერთის ნახვით შემიყვარდა, იმ წამსვე, ჩვენი კლასის კარი რომ შემოაღო და ზურმუხტ-ქალაქის პრინცესასავით შემობრწყინდა.

**მელისა** — გეყოფა ერთი, კმარა... ამდენს ვეღარ გადავიტან...

**ენდი** — არავინ, ჩემს სიცოცხლეში არავინ ასე არ მყვარებია; არც შემიყვარდება! მელისა მუდამ ჩემს გულისგულში იცოცხლებს. ძალიან, ძალიან მენატრება. მინდა ეს იცოდეთ თქვენ და იმანაც. გულწრფელად თქვენი ენდი ლედ მესამე.

**მელისა** — გმადლობთ, ენდი.